ალია

№126/3056/ 29 აგვისტო 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკაზე?



# რატომ

- გაუსწორდა ირაკლი ოქრუაშვილი „ქართული ოცნების“ აქტივისტებს
- არ არის დაკავებული დღემდე
- აღიძრა საქმე იმაზე მსუბუქი მუხლით, ვიდრე დანაშაული ითვალისწინებს

## პროკურატურამ გიგა ბოკერიას საქმეების გამოძიება დაიწყო



## რა კანონების შეცვლისთვის იწყებს ბრძოლას შალვა ნათელაშვილი?



## რა წერია „სითი პარკსა“ და მერიას შორის გაფორმებულ საიდუმლო ხელშეკრულებაში?



## შალვა ხაჭაპურიძეს ადვოკატის უფლებამოსილებას უჩერებენ?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## გალაქტიონის ხიდის მოაჯირის შეღებვისთვის 5 ადამიანი დააკავეს



საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით (სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი) და 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) 5 პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ახალგაზრდების ჯგუფი გალაქტიონის ხიდზე ღებავდა მოაჯირს, რაც ქალაქის იერსახის დამახინჯებაა და კანონით აკრძალულია. სამართალდამცველებმა ახალგაზრდებს მოუწოდეს, შეეწყვიტათ კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც ისინი არ დაემორჩილნენ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხუთივე პირი დააკავეს. (ინტერპრესნიუსი)

## ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გაუჩინარებული ცოლ-შვილი იპოვეს



ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ ფაჩულიას გაუჩინარებული ცოლ-შვილი იპოვეს. ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს, თუმცა უწყებაში დეტალებზე არ საუბრობენ. სამინისტროში მხოლოდ იმას აკონკრეტებენ, რომ ზურაბ ფაჩულიას ცოლ-შვილი თავს კარგად გრძნობს.

არსებული ინფორმაციით კი, ფაჩულიას მეუღლე ოჯახში დაბრუნებაზე უარს აცხადებს.

ზურაბ ფაჩულია ამბობს, რომ მისი მეუღლე ნათია ხინჩიაშვილი და 3 წლის შვილი ანასტასია ფაჩულია დასასვენებლად იმერეთში იმყოფებოდნენ, საიდანაც გუშინ, 17 საათისთვის დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ისინი არავის უნახავს.

ზურაბ ფაჩულია ფოთის პოლიციის სამმართველოში უკვე დაკითხეს. „მეუღლე და ბავშვი ბრუნდებოდნენ სოფლიდან ფოთში. ჩემმა მეუღლემ გზიდან დამირეკა და მითხრა, რომ მობილური უჯდებოდა და როგორც კი სახლში მოვიდოდნენ, გადმომირეკავდა. ფიქსირდება, რომ ჩამოვიდნენ ფოთში და მას შემდეგ მათი კვალი იკარგება“, – აცხადებდა ზურაბ ფაჩულია მისი ოჯახის წევრების გაუჩინარების მომენტში. (ინტერპრესნიუსი)

## ძიუდოისტი ავთანდილ ჭრიკიშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა



ავთანდილ ჭრიკიშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჩელიაბინსკში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭრიკიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა. მან კანადელი ოლიმპიური პრიზიორი ანტოინ ვალოის-ფორტიერი დაამარცხა.

81 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი ძიუდოისტი ტურნირის ნახევარფინალში მსოფლიოს მესამე პრიზიორს, ფრანგ ალაინ შმიტს დაუპირისპირდა და როგორც შარშან, წელსაც აჯობა.

მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატზე ჭრიკიშვილის ოქროს მედლის გარდა, ქართველ ძიუდოისტებს კიდევ ერთი მედალი აქვთ მოპოვებული – ტურნირის პირველ დღეს ბრინჯაო ამირან პაპინაშვილმა მოიპოვა. (ინტერპრესნიუსი)

## „რუსეთმა და აფხაზეთმა შესაძლოა, კოლექტიური შეიარაღებული ძალები შექმნან“



რუსეთმა და მის მიერ ოკუპირებულმა აფხაზეთმა შესაძლოა, კოლექტიური შეიარაღებული ძალები შექმნან. ამის შესახებ ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა.

„აფხაზეთისა და რუსეთის კოლექტიური შეიარაღებული ძალების შექმნის გეგმების რეალიზაცია უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ბევრ პრობლემას გადაჭრის. კოლექტიური შეიარაღებული ძალების შექმნა ნორმალური პროცესია. ჩვენ გვყავს ჩვენი ჯარი, არის რუსული სამხედრო ბაზა. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა კოორდინაციული მოქმედებებისთვის“, – განაცხადა ხაჯიმბამ და იმედი გამოთქვა, რომ რუსული მხარეც დაინტერესდება აღნიშნული პროექტით.

„ვფიქრობ, რუსეთი წინააღმდეგი არ იქნება“, – დასძინა ხაჯიმბამ, რომელიც 27 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა. რაულ ხაჯიმბა მოსკოვში ჩასვლას 25 სექტემბრის ე.წ. ინაუგურაციის შემდეგაც გეგმავს. (ინტერპრესნიუსი)

## ლეღვის ნახარშით დამწვარი მორიგი პაციენტი



ლეღვის ნახარშით დამწვრობის პირველი შემთხვევა წელს აგვისტოში დაფიქსირდა. 33 წლის ქალმა ლეღვის ნახარშით გარუჯვა სცადა და ორივე კიდური დაეწვა. როგორც იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის მიმღებში განაცხადეს, პაციენტი, რომელიც გარუჯვას ლეღვის ნახარშით შეეცადა, თბილისიდან არის. მას სხეულის ორივე კიდურზე 15 პროცენტიანი დამწვრობა აქვს მიღებული. ამჟამად, სამედიცინო დაწესებულებაში 5 პაციენტია მოთავსებული. მათ შორის სამი მცირეწლოვანი ბავშვია. ორ მათგანს სხეულის დამწვრობა, მდუღარე ყავის გადასხმის შედეგად აქვთ მიღებული, ხოლო 12 წლის ბიჭმა დამწვრობა ცეცხლის ალების შედეგად მიიღო. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## მიცვალებულის საფლავის მოძიება ფასიანია – ინფორმაციის გაცემა 1 დღეში 50 ლარი ღირს



მიცვალებულების შესახებ ინფორმაციის მოძიება შპს „ჰერმესში“ ფასიანია. შპს „ჰერმესის“ იურისტ დავით ლინჩუკის განცხადებით, თუ მოქალაქეს, წლების წინათ გარდაცვლილი ნათესავის სასაფლაოს მოძებნა დასჭირდა, ის განცხადებით მიმართავს შპს „ჰერმესს“ და ფასიანი მომსახურების ტარიფების მიხედვით საჭირო ინფორმაციას მიიღებს.

კერძოდ, ინფორმაციის გაცემა 5 დღეში 35 ლარია, 10 დღეში – 25, დაჩქარებული წესით, 1 დღეში ინფორმაციის გაცემა კი 50 ლარი ღირს. თუმცა, თუ ინფორმაცია ორ გარდაცვლილს ეხება, ტარიფი ორმაგდება. აღსანიშნავია, რომ, თუ შპს „ჰერმესის“ კომპიუტერულ ბაზაში მიცვალებულის შესახებ ინფორმაცია ვერ მოიძებნა, მოქალაქეს თანხა უკან აღარ უბრუნდება. როგორც „ჰერმესის“ იურისტმა განაცხადა, მომსახურების ტარიფები თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული დადგენილებით არის განსაზღვრული, რომელიც 2010 წლის 29 დეკემბრითაა დათარიღებული.

დავით ლინჩუკის ინფორმაციით, შპს „ჰერმესის“ დაქვემდებარებაში ამჟამად 31 საქალაქო სასაფლაო შედის. მისი თქმით, 2012 წლის გაზაფხულამდე, კომპანიის ბალანსზე 26 სასაფლაო ირიცხებოდა. მას შემდეგ, რაც დედაქალაქს რამდენიმე დაბა შემოუერთდა, სასაფლაოების რიცხვი პარალელურად გაიზარდა. აღსანიშნავია, კიდევ ერთი გარემოება, შპს „ჰერმესი“ მიცვალებულების ადგილსამყოფლის დადგენას, მხოლოდ დედაქალაქის სასაფლაოზე ცდილობს. მათ კერძო სასაფლაოები არ ეხებათ. ფაქტია, დამკრძალავი ბიურო „ჰერმესი“ ერთადერთია, რომელიც დედაქალაქის მერიის განკარგულებაში დღემდე რჩება. მოქალაქეს მიცვალებულის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. შესაბამისად, შპს „ჰერმესი“ მონოპოლიას დღემდე ინარჩუნებს. (kvira.ge)

## გიორგი ვაშაძე კოლეგებს მიმართავს




საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, ევროპის შუაგულში ბრძოლა თავისუფლებისთვის კვლავ გრძელდება. ვაშაძე კოლეგებს უკრაინის მხარდამჭერი ერთობლივი განცხადების შემუშავების თხოვნით მიმართავს:

„უკრაინელმა ხალხმა საკუთარი სისხლის ფასად დაამარცხა იანუკოვიჩის რეჟიმი, ამით კი გამოხატა ნება, იყოს სრულუფლებიანი წევრი ევროპის თავისუფალი თანამეგობრობის. ისტორია მეორდება – ამ არჩევანისთვის უკრაინა ისევე ისჯება, როგორც საქართველო 2008 წელს.

ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, პუტინის რეჟიმმა შეაიარაღა ტერორისტები, რომლებმაც დაიწყეს სამხედრო აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში, ხოლო გუშინ ღამით რუსეთმა დაიწყო პირდაპირი და ღია სამხედრო ინტერვენცია რეგულარული შენაერთების გამოყენებით.

დღეს უკრაინაში ერთმანეთს ტოტალიტარული და დემოკრატიული სამყარო უპირისპირდება. შესაბამისად, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში კი საქართველოსა და თითოეული ჩვენგანის პოზიცია მკაფიო უნდა იყოს. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, გვერდით დავუდგეთ უკრაინელ ხალხს, გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები აგრესიის შესაჩერებლად, რადგან ეს ბრძოლა ჩვენი ბრძოლაცაა.

თხოვნით მივმართავ ჩემს კოლეგებს, ერთობლივად შევიმუშაოთ განცხადება და მხარდაჭერის კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

მჯერა, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ. ძალა ერთობაშია!“ (რეპორტიორი)

## ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრო.

რიგით მე-12 პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია ანკარაში გაიმართა. საქართველოს მთავრობის მეთაურთან ერთად ღონისძიებაზე 80-მდე ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის წევრი იმყოფებოდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრს ანკარის ესენბოღას საერთაშორისო აეროპორტში თურქეთის ევროკავშირის საკითხთა მინისტრი აჰმედ ჩავუშოღლუ, ანკარის მერი და გუბერნატორი დახვდნენ.

ერდოღანმა 10 აგვისტოს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 51,8 პროცენტი მიიღო. თურქეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოსახლეობამ პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩია. ქვეყნის პირველ პირს მანამდე პარლამენტი ირჩევდა და ინაუგურაციის ცერემონიას სხვა ქვეყნის ლიდერები არ ესწრებოდნენ. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემუშავებაზე მსჯელობს



უკრაინაში რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით, აშშ, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემუშავებაზე მსჯელობს.

„ჩვენს ხელთ არის რუსეთზე ზეწოლის რიგი ინსტრუმენტებისა. ახლა ამერიკის ადმინისტრაციაში დისკუსია მიმდინარეობს, იმართება გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა არხი, რომლებთანაც თანამშრომლობს აშშ“, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენიფერ ფსაკმა.

მისი თქმით, ვაშინგტონს გააჩნია დამატებითი სანქციები და ინსტრუმენტები, რომლებსაც აშშ განიხილავს მომავალ კვირას უელსში, ნატოს სამიტზე. ფსაკმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე გზავნის ჯავშანტრანსპორტიორებს, არტილერიას და მხარს უჭერს პრორუს მებრძოლებს. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ

## გაუსწორდა ირაკლი ოქრუაშვილი „ქართული ოცნების“ აქტივისტებს
## არ არის დაკავებული დღემდე
## აღიძრა საქმე იმაზე მსუბუქი მუხლით, ვიდრე დანაშაული ითვალისწინებს

ტყვიავიდან გორის საკრებულოს დეპუტატის, თემურ გიგუაშვილის ინფორმაციით, თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ფიზიკურად გაუსწორდა „ქართული ოცნების“ აქტივისტებს და მათი მანქანის მიმართულებით ცეცხლი გახსნა. თემურ გიგუაშვილის განცხადებით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ირაკლი ოქრუაშვილი სოფელ ტყვიავში დაცვის წევრებთან ერთად გადაადგილდებოდა. ის გაჩერდა მანქანასთან, რომელშიც „ოცნების“ აქტივისტები – ვასილ და პავლე ქარელები ისხდნენ. მისი ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილმა ახალგაზრდებს მანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვა, თუმცა ისინი არ დაემორჩილნენ და მანქანა დაძრეს. გიგუაშვილი ამბობს, რომ ოქრუაშვილი მათ გაეკიდა და მანქანის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა – მანქანას სამი ნატყვიარი აქვს (სხვა წყაროების ინფორმაციით, ოქრუაშვილმა მანქანის მიმართულებით სროლისას ორი მჭიდი დაცალა). დეპუტატის განცხადებით, სროლის შემდეგ ბიჭებმა მანქანა გააჩერეს, რის შემდეგაც მათთან ირაკლი ოქრუაშვილი მივიდა და იარაღის კონდახით სცემა. სავარაუდოდ, ნასვამი იყოო. გიგუაშვილი ეჭვობს, რომ ოქრუაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ახალგაზრდები დააშინეს, რადგან მომხდარის შემდეგ ისინი სოფელში აღარ გამოჩენილან.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ირაკლი ოქრუაშვილი თავს უფლებას აძლევს და ადამიანებს ფიზიკურად უსწორდება. ამ ყველაფერზე, თავის დროზე, „ალია“ დეტალურად წერდა. 2002 წელს, როცა თბილისის საკრებულოს წევრი იყო, ბარათაშვილის ხიდთან ტაქსის მძღოლს სცემა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, მაგრამ საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარე, მიხეილ სააკაშვილი ჩაერია საქმეში და თანაგუნდელი ციხისგან იხსნა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ოქრუაშვილმა მრავალი თანამდებობა გამოიცვალა და ახლაც კი, თანამდებობის გარეშე დარჩენილიც არ იშლის თავისას – ორი ახალგაზრდა კინაღამ მოკლა. არანაირი გარანტია არ არსებობდა, რომ იმ 3 ტყვიიდან, მანქანას რომ მოხვდა, ერთ-ერთი რიკოშეტით მანქანაში მყოფს არ მოხვდებოდა.

ამ კაცის თავგასულობას საზღვარი არ აქვს. ხელისუფლებაში იყო და მრავალი უბედურება აქვს ნაკეთები – სწორედ ოქრუაშვილი იყო „ტელედაპატიმრებების“ იდეის ავტორიც და განმახორციელებელიც, მარტო ცხონებული ბონდო შალიკიანის უთენია საწოლიდან წამოგდება და საცვლებისამარა ბორკილების დადება რად ღირს?! ანდა ხაშურისა და ხარაგაულის რაიონებში მდებარე ბორდელებში ნიღბიანი სპეცრაზმელებით შეჭრა?! ოქრუაშვილს ბევრი ისეთი რამ აქვს გაკეთებული, დღემდე რომ ვერ მოუნელებია ქართველ საზოგადოებას.

ირაკლი ოქრუაშვილს, როგორც პარლამენტის ყოფილ წევრს, ასევე თავდაცვისა და შს ყოფილ მინისტრს, კანონით ეკუთვნის იარაღის ტარება, მაგრამ ამ პრივილეგიას ინსტრუქციებიც მოჰყვება. ეს ოქრუაშვილმა ჩინებულად იცის, მაგრამ მაინც ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება.

ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკურ ოპონენტებს გაუსწორდა „ქართული ოცნების“ წევრებს. თუმცა, ამ საქმეში მარტო „ქართული ოცნება“ არ ყოფილა. ერთ-ერთი ინფორმაციით, ოქრუაშვილის მიერ ნაცემი ვასილ და პავლე ქარელები, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის, მიშა ქარელის ნათესავები არიან. მიშა ქარელი და ირაკლი ოქრუაშვილი ერთად იყვნენ პარიზში ემიგრაციაში, მაგრამ ყოფილი თანამებრძოლები სწორედ პარიზში წაეკიდნენ ერთმანეთს. წყარო აცხადებს, რომ რაღაც მომენტში, ირაკლი ოქრუაშვილის მომხრეებს მიშა სააკაშვილის მომხრეები დაუპირისპირდნენ, ვასილ და პავლე ქარელები ამ დაპირისპირების ეპიცენტრში მოექცნენ და ეს კარგად იცოდა ოქრუაშვილმა. გარდა ამისა, დაზარალებული ქარელები, ადგილობრივი არჩევნების დროს დაპირისპირებულნი იყვნენ ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებთან და ეს ბუნებრივი პროცესია. ეს პოლიტიკურ-საარჩევნო დაპირისპირება თავის დროზე, კანონის ფარგლებს არ გასცილებია. გორში ამბობენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის აგრესიის მიზეზი ესეც ყოფილა – ვასილ და პავლე ქარელებისთვის ცემის დროს უთქვამს, თქვენ წააგებინეთ ჩემს კანდიდატს არჩევნები და ამას არ გაპატიებთო. მოკლედ, „ქართული ოცნება“ თავშიც არის და ბოლოშიც, ასე გამოდის. ოქრუაშვილი ქარელებს მარტო მიშა ქარელის გამო არ დაპირისპირებია.

ირაკლი ოქრუაშვილმა „ქართული ოცნების“ ორი აქტივისტის მანქანას პისტოლეტის ორი მჭიდი დააცალა, 3 ტყვია მანქანას მოარტყა, მერე ეს ახალგაზრდები იარაღის კონდახით სცემა და შეშინებული ბიჭები საკუთარ სოფელში, ტყვიავში გამოჩენასაც ვერ ბედავენ. ამ დროს რას აკეთებს „ქართული ოცნება“? სად არიან ამ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები და „მქუხარე“ დეპუტატები? „ნაცმოძრაობის“ ლიდერები მათი პარტიის რიგითი და უმნიშვნელო წევრების დაჩაგვრასაც კი არ ტოვებენ უპასუხოდ და სპეციალურ ბრიფინგებს აწყობენ. რა, აუცილებელია, „ნაცმოძრაობის“ წევრმა დაგიშავოს? მარტო „ნაცების“ უსაქციელობას უნდა გასცე პასუხი და სხვამ რაც არ უნდა დაგიშავოს, ის უნდა გაატარო? „ქართული ოცნების“ არც ერთ წევრს არ გაუპროტესტებია აქტივისტების ცემა, ხმა არ ამოიღეს იმ ბიჭების დასაცავად, რომლებიც არჩევნებშიც და მანამდეც, თავგადაკლულნი ემსახურებოდნენ (გორის მაჟორიტარმა, მალხაზ ვახტანგაშვილმა თქვა ორიოდე სიტყვა – ცუდი ფაქტი მოხდა, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ, გამოძიებას დაველოდოთო). ირაკლი ოქრუაშვილმა ამ ბიჭების ცემით, მთელ „ქართულ ოცნებას“ გადა...ვა თავზე, „ქართული ოცნების“ ყველა ლიდერს ჩააფურთხა სულში და ამათაც შეირგეს. აკი მოგახსენეთ, პროტესტის გრძნობაც კი არ გასჩენიათ. არ ვიცი, გულში შეიძლება ლანძღეს ოქრუაშვილი, მაგრამ ხმამაღლა არავის არაფერი უთქვამს. საკუთარი პარტიის აქტივისტებს სიტყვითაც არ იცავენ მმართველი პარტიის ლიდერები და ვის რატომ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ სხვებს დაიცავენ?

**„ალიამ“ მომხდართან დაკავშირებით, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს სთხოვა კომენტარი:**



**„ჩვენ ყველას ხელისუფლება ვართ და პირველ რიგში კანონს ვიცავთ. რადგან ჩემი აქტივისტი სცემეს, უფრო მეტი აქტიური უნდა ვიყო? რას მირჩევთ თქვენ? და სხვა პარტიის აქტივისტები მეტად დავსაჯო?“**

**— ბატონო ირაკლი, „ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ, ირაკლი ოქრუაშვილმა თქვენი პარტიის აქტივისტებს იარაღის ორი მჭიდი დააცალა, მერე მაგრად სცემა და ამაზე არც თქვენ, არც „ქართული ოცნების“ სხვა**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### დღეს ანჩისხატობაა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ანჩისხატობას დღესასწაულობს. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ან როგორც მას საქართველოში უწოდებენ, პირი ღვთის ხატი, ქრისტიანობის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს. სასწაულმოქმედი ხატის შექმნა უშუალოდ უფალ იესო ქრისტეს უკავშირდება.

ქალაქ ედესის მთავარმა ავგაროზმა უფალს მისწერა, თუ მისი სნეულებისგან განკურნავდა, მის ყოველ ნებას აღასრულებდა და ურიებისგან დევნილ ქრისტიანებს თავის სამეფოში შეიფარებდა.

იესო ქრისტემ საპასუხოდ ლოცვა-კურთხევის წერილი გაუგზავნა, რომელშიც წერდა, რომ მისვლას ვერ შეძლებდა, რადგან თავისი დიდი საქმე ჰქონდა აღსასრულებელი. მაშინ ავგაროზმა კარის მხატვარი გაგზავნა, რათა ქრისტეს სახე დაეხატა და მისთვის ჩამოეტანა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, მხატვარმა მაცხოვრის სახის დახატვა ვერ შეძლო. მაშინ იესომ მას ტილო გამოართვა და სახეზე მიიფარა. ტილოზე უფლის სახე სასწაულებრივად აღიბეჭდა. უფლის ხელთუქმნელი ხატი ედესაში ჩაასვენეს. ავგაროზი ექვსწლიანი მძიმე ავადმყოფობისგან ხატთან ერთი შეხებისთანავე განიკურნა.

VI საუკუნეში ედესას არაბები შეესივნენ. არაბებისგან დასაცავად ბერძნებმა ხელთუქმნელი ხატი ედესიდან კონსტანტინეპოლში გადააბრძანეს და წმინდა სოფიას ტაძარში დაასვენეს.

VII-IX საუკუნეებში, როცა ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა დაიწყო, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კლარჯეთში, კერძოდ, ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში გადაასვენეს. ანჩში მთელი ქართველი ერი მიდიოდა დიდებული ხატის თაყვანსაცემად და მისგან წყალობის მისაღებად. 1194 წელს თამარის ბრძანებით ხატი სახელგანთქმულმა ოსტატმა ბექა ოპიზარმა მოჭედა.

თამარის გარდაცვალების შემდეგ ტაო-კლარჯეთს მძიმე დრო დაუდგა. ურჯულოთა შეურაცხყოფისგან დასაცავად მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ანჩიდან ჯერ ახალციხეში, შემდეგ კი თბილისში ჩამოასვენეს და საკათალიკოსო ტაძარში დააბრძანეს. ამის შემდეგ ამ საკათედრო ტაძარს, რომელიც მე-7 საუკუნეში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე აშენდა, ანჩისხატის ტაძარი ეწოდა.

კომუნისტური რეჟიმის დროს ანჩისხატი ხელოვნების მუზეუმში გადააბრძანეს. უფლის ხელთუქმნელი ხატი დღემდე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება და მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია გამოფენილი.

ხვალ ასევე მარტყოფში წმ. ასურელი მამა ანტონ მარტყოფელის ხსენებას დღესასწაულობენ. (ფრონტნიუსი)

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რუსი სამხედროები ამბობენ, რომ მათ ოდესამდე ჩასვლა აქვთ ნაბრძანები



Cenzor.net-ის ინფორმაციით, რუსი სამხედროები ამბობენ, რომ მათ ოდესამდე ჩასვლა აქვთ ნაბრძანები. როგორც ინტერნეტ-გამოცემა წერს, ამის შესახებ Эспресо.TV-ს რუსული ჯარის მიერ ოკუპირებული ნოვოაზოვსკის ერთ-ერთმა მცხოვრებმა განუცხადა.

წყაროს ცნობით, რუსი სამხედროები ცდილობენ, ადგილობრივი მოსახლეობა დაამშვიდონ, რომ არ აპირებენ, მათ ესროლონ. ამასთანავე, ისინი აცხადებენ, რომ მიიღეს მარიუპოლის დაკავებისა და შემდეგ ოდესამდე ჩასვლის გეგმა. (frontniusi)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მესამე გვერდიდან*

**ლიდერებს კომენტარი არ გაგიკეთებიათ, ერთი პროტესტიც კი არ გამოგითქვამთ.**

– ეს იყო ერთი რიგითი მოქალაქის მიერ ჩადენილი ქმედება და რა პროტესტი უნდა გამომეხატა?

**— რიგითი მოქალაქე არ არის ოქრუაშვილი, პოლიტიკური ფიგურაა. ეს ერთი და მეორეც, თქვენი აქტივისტები სცემა და ამაზე ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ თქვენს წარმომადგენლებს.**

– ჩვენი აქტივისტი იქნება თუ სხვისი აქტივისტი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას, ჩვეულებრივად, როგორც ხდება, როგორც გამოძიება დაადგენს, ისე იქნება. არაფერი არ არის ამაში განსაკუთრებული.

**— კი, იურიდიულ შეფასებაში გათანხმებით, მაგრამ აქ პოლიტიკური მომენტიც არის და ადამიანურიც და მორალურიც...**

– მესმის, მაგრამ ამ საქმის დეტალები არ ვიცი ზუსტად, შესაძლოა, მოხდა კონფლიქტი ორ პიროვნებას შორის და...

**— კონფლიქტი კი არ მოხდა, ოქრუაშვილმა ორი მჭიდი დააცალა იმ მანქანას, სადაც თქვენი აქტივისტები ისხდნენ, სამი ტყვია მანქანას მოხვდა, მერე მათ გაეკიდა და ეს ბიჭები იარაღის კონდახით სცემა.**

– ვინც დანაშაული ჩაიდინა, ამისთვის პასუხს აგებს, არა მგონია, სხვა პასუხი მქონდეს.

**— თქვენი აქტივისტები თქვენვე არ უნდა დაიცვათ, არა ხართ მოვალე? პროტესტი მაინც გამოგეხატათ?**

– იცით, რა არის? მე როცა თანამდებობის პირი ვარ, მნიშვნელობა არ აქვს, ჩემი პარტიის წევრი იქნება თუ სხვა პარტიისა, ყველა ამ ქვეყნის მოქალაქეა და ყველა ერთნაირად უნდა დავიცვა.

**— სწორედ ვასილ და პავლე ქარელებისნაირმა ხალხმა მოგიყვანათ ხელისუფლებაში და მერე კიდევ ორი არჩევნები მოგაგებინათ მათნაირმა ადამიანებმა.**

– ჰო, მაგრამ ჩვენ ყველას ხელისუფლება ვართ და პირველ რიგში კანონს ვიცავთ. რადგან ჩემი აქტივისტი სცემეს, უფრო მეტი აქტიური უნდა ვიყო? რას მირჩევთ თქვენ? და სხვა პარტიის აქტივისტები მეტად დავსაჯო?

**— თქვენ, როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, ისე გელაპარაკებით. ერთი განცხადება მაინც გაგაკეთებინათ და მომხდარი დაგეგმოთ.**

– როცა ხელისუფლებაში ვარ, ყველას მიმართ ვარ თანასწორი. ვინც დანაშაული ჩაიდინა, პასუხს აგებს. ჩემი აქტივისტი შეიძლება დავიცვა, როცა სხვა პოლიტიკურად სხვანაირად მოექცევა.

**— „ნაციონალების“ მცირე კრიტიკაზეც კი რეაგირებთ, „ნაციონალებმა“ თქვენს აქტივისტებს რაიმე რომ დაუშავონ, მაშინ დიდ ამბავს ტეხთ ხოლმე და რაღა ახლა გაჩუმდით? აუცილებელია, „ნაციონალებმა“ დაუშავონ რაიმე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომ ხმა ამოიღოთ?**

– მესმის, მაგრამ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, კანონი უნდა დავიცვათ, პოლიტიკური ნიშანი არაფერს წარმოადგენს, თუ გინდათ რომ კანონს გავცდეთ, პოლიტიკური ნიშნით განვსაჯოთ ადამიანები, მაშინ უნდა დავბრუნდეთ ისევ იქ, სადაც უკვე ვიყავით.

არ ვიცი, ირაკლი სესიაშვილმა არ გაიგო თუ ვერ გაიგო ჩემი კითხვები, რომლებიც გასაგებად დავუსვი, მაგრამ ფაქტია, მათ სრულყოფილი პასუხები არ გასცა. რატომღაც მეჩვენება, რომ კითხვებზე მისი პასუხები არაადეკვატურია. კაცს ერთს ვეკითხები, მეორეს მპასუხობს. მკითხველმა განსაჯოს, „ვერ გაიგო“ თუ „არ გაიგო“ ჩემი კითხვები ირაკლი სესიაშვილმა.

**მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სიტუაციის გასარკვევად „ალია“ შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა:**

**— ნინო, აღიძრა საქმე ირაკლი ოქუაშვილის წინააღმდეგ?**

– კი, იმავე დღეს, როცა ეს ამბავი მოხდა, 25 აგვისტოს.

**— რომელი მუხლით?**

– 118-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას და 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**— ცოტა მკაცრად ხომ არ უნდა შეფასებულიყო ოქრუაშვილის საქციელი? მან მანქანას, სადაც ადამიანები ისხდნენ, პისტოლეტის ორი მჭიდი დააცალა და აქედან 3 ტყვია მანქანას მოხვდა, მერე კი იარაღის კონდახით სცემა ისინი.**

– გამომძიება მიმდინარეობს და თუ სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, მაშინ 118-ე მუხლი გადაკვალიფიცირდება და კანონი გამკაცრდება დანაშაულის შესაბამისად.

**— ოქრუაშვილი დაკავებულია?**

– გამოძიება მიმდინარეობს და გაირკვევა ყველა დეტალი, ოქრუაშვილი იქ იყო თუ არა, პირადად მან სცემა თუ არა. ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია.



„გამომძიება მიმდინარეობს და თუ სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, მაშინ 118-ე მუხლი გადაკვალიფიცირდება და კანონი გამკაცრდება დანაშაულის შესაბამისად... გაირკვევა ყველა დეტალი, ოქრუაშვილი იქ იყო თუ არა, პირადად მან სცემა თუ არა...“

**არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილის საქციელი, ჩემი აზრით, კანონით უფრო მკაცრად უნდა შეფასდეს. ოქრუაშვილის ნამოქმედარში აშკარად ჩანს შეიარაღებული თავდასხმის ნიშნები, მკვლელობის მცდელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თუმცა, მომხდარს იურისტზე უკეთ ვერავინ შეაფასებს, ამიტომ კომენტარისთვის ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს დავუკავშირდით.**

**— ბატონო გელა, ალბათ, საქმის კურსში ხართ, რა ჩაიდინა ირაკლი ოქრუაშვილმა.**

– კი, ზოგადად ვიცი, ის, რაც მედიით გავრცელდა.

**— საქმე 118-ე მუხლით არის აღძრული, ჯანმრთელობის განზრახ ნალებად მძიმე დაზიანება ჰბრალდება ოქრუაშვილს. ნამეტანი ლმობიერად ხომ არ ექცევიან ჩვენი სამართალდამცავები თავდაცვისა და შს ექსმინისტრს?**

– 118-ე მუხლი ეს არის ცემა, 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და სასჯელის ზომა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მძიმეა სხეულის დაზიანება. რაც ინფორმაცია გავრცელდა, თუ ეს ყველაფერი სწორია, სროლა, გამოკიდება, იარაღით ცემა, სავარაუდოდ, ეს არის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. საჯარო ადგილას რომ ადამიანები სცემა, აქ აშკარაა ხულიგნობის ნიშნები. ხულიგნობა 239-ე მუხლით კვალიფიცირდება. თუ მხოლოდ ერთმა პიროვნებამ ჩაიდინა დანაშაული, 1 წლამდე ციხეა მაგაზე, თუ ჯგუფურია დანაშაული, 2-დან 5 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. მე როგორც მახსოვს, ირაკლი ოქრუაშვილს თან დაცვის წევრები ახლდნენ და ახლა ის არის გასარკვევი, ეს დაცვის წევრებიც მონაწილეობდნენ თუ არა ამ დანაშაულში. თუ მონაწილეობდნენ, ცხადია, უკვე ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ასევე, თუ იარაღით ან იარაღის მაგვარი საგნით არის დანაშაული ჩადენილი, მაშინ უკვე 4-დან 7 წლამდე ციხეა. იქ კი, როგორც ვიცი, იარაღი იყო.



„მე როგორც მახსოვს, ირაკლი ოქრუაშვილს თან დაცვის წევრები ახლდნენ და ახლა ის არის გასარკვევი, ეს დაცვის წევრებიც მონაწილეობდნენ თუ არა ამ დანაშაულში. თუ მონაწილეობდნენ, ცხადია, უკვე ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ასევე, თუ იარაღით ან იარაღის მაგვარი საგნით არის დანაშაული ჩადენილი, მაშინ უკვე 4-დან 7 წლამდე ციხეა. იქ კი, როგორც ვიცი, იარაღი იყო“

**— დაცვის წევრები მონაწილეობდნენ თუ არა დანაშაულში, ეს ჯერ გასარკვევია, აი, იარაღით რომ სცემა ის ბიჭები ოქრუაშვილმა, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა.**

– თუ ასეა, მაშინ 239-ე მუხლის მესამე ნაწილით უნდა აღიძრას საქმე, უკვე მოგახსენეთ, ეს 4-დან 7 წლამდე ციხეს გულისხმობს.

**— ირაკლი ოქრუაშვილს იარაღის ტარების უფლება კი აქვს, მაგრამ ეს იარაღი უკანონოდ რომ გამოიყენა, ამისთვის არ უნდა დაისაჯოს?**

– ეს უკვე არის ხულიგნობა და ამაზე ხომ უკვე მოგახსენეთ. იარაღის უკანონოდ გამოყენება იმ 239-ე მუხლში შედის. თუ მან ნამდვილად იარაღით მიაყენა სხეულის განზრახ დაზიანება იმ ორ პიროვნებას, 4-დან 7 წლამდე ციხე ემუქრება და აქ იარაღის უკანონო გამოყენებაც იგულისხმება.

**— მკვლელობის მცდელობის მუხლი რომ მიუყენონ, ამის ნიშნები არ იკვეთება?**

– არა, ეს უკვე ზედმეტია. მკვლელობის მცდელობა რომ ყოფილიყო, მას იარაღი პირდაპირ უნდა ესროლა დაზარალებულთათვის.

**— 3 ტყვია მოხვედრია მანქანას, მეტი რაღაა სასიკვდილოდ ადამიანების გამეტება?**

– მესმის, მაგრამ მანდ მთელი ნიუანსებია – გვერდიდან ესროლა, უკნიდან, შეიძლებოდა თუ არა ტყვია მოხვედროდა ადამიანს... ისე, კი, შეიძლება მაგაზე მსჯელობაც, გამოძიება, იმედია, ყველაფერს გაარკვევს.

**— ბატონო გელა, ეს ხომ აშკარად შეიარაღებული თავდასხმა იყო. ეს ბრალი, წესით, ოქრუაშვილს უნდა წაუყენონ.**

– არა, ამ შემთხვევაშიც 239-ე მუხლთან მივდივართ, მის მე-3 ნაწილთან – 4-დან 7 წლამდე პატიმრობასთან. შეიარაღებული თავდასხმაც ამ მუხლშია გაერთიანებული. სავარაუდოდ, თავდასხმა მოხდა ცეცხლსასროლი იარაღით და მერე, ამ იარაღით სხეულის დაზიანება. რაც ინფორმაცია გავრცელდა მომხდარზე, იმის მიხედვით ასეა.

ირაკლი ოქრუაშვილი დაკავებული არ არის, არადა სხვას რომ ჩაედინა ასეთი კი არა, უფრო მსუბუქი დანაშაული, წამსვე „კაპეზეში“ უკრავდნენ თავს. როგორც ჩანს, თავდაცვისა და შს ექსმინისტრს არ დაუკარგავს გავლენა და დღევანდელ ხელისუფლებაშიც ჰყავს საკმაო მფარველები, რომელთაც იზრუნეს, რომ გარეთ დარჩენილიყო. სხვაგვარად იმ ფაქტის ახსნა, რომ ოქრუაშვილი თავისუფალია, შეუძლებელია.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ერდოღანის ინაუგურაციაზე პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატმა კონსტიტუცია ესროლა



თურქეთის პარლამენტის ოპოზიციონერმა წევრებმა პარლამენტში რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ინაუგურაცია გააპროტესტეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, ოპოზიციონერი დეპუტატები პროტესტის ნიშნად პარლამენტში მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდნენ.

თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარემ, ჯემილ ჩიჩეკმა ოპოზიციას სახელმწიფოსა და პარლამენტის ტრადიციების პატივისცემისკენ მოუწოდა. „ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა საკითხს ყოველი შესაძლებლობის დროს, მაგრამ დღეს სხვა შემთხვევაა. თქვენ შეგიძლიათ ან მიიღოთ მონაწილეობა ან არა, მაგრამ მე გავაგრძელებ ინაუგურაციის ცერემონიას“, – განაცხადა თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარემ.

ამის შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენელმა ენგინ ალტაიმ პარლამენტის თავმჯდომარეს თურქეთის კონსტიტუციის ტექსტი ესროლა და დარბაზი დატოვა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ეს ის „თავისუფალი ზონა“ არ არის მკვლელ და სადისტ მერაბიშვილ-ახალაიას რომ ექომაგება?“




ორგანიზაცია „მამული, ენა, სარწმუნოების“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე „თავისუფალი ზონის“ აქტივისტების მისამართით წერს:

„ეს ის „თავისუფალი ზონა“ არ არის, დედა ეკლესიას რომ ებრძვის? ეს ის „თავისუფალი ზონა“ არ არის, მამათმავლების პროპაგანდას ხელს რომ უწყობს? ეს ის „თავისუფალი ზონა“ არ არის, მკვლელ და სადისტ მერაბიშვილ-ახალაიას რომ ექომაგება??? რაის ანტიპუტინი და რაის გეორგიევსკის ლენტა და რაის პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი??? გველადავებით?“ – წერს სადღობელაშვილი. (რეპორტიორი)




# შალვა ხაჭაპურიძეს ადვოკატის უფლებამოსილებას უჩერებენ?

**2015 წლის თებერვალში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს ვადა გასდის. თუმცა მანამდე თითქმის ყველა მოსამართლეს უკვე გაუვიდა ვადა. რა ხდება ამ ფონზე ქართულ სასამართლოში?**

**„ალიას“ ყოფილი მოსამართლე, ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

**— სხვათა შორის, თბილისის სააპელაციო სასამართლოდან ვილაცებმა შემომითვალეს, ჩვენგან რა გინდა, რატომ გვებრძვიო? მე მაგათ რას უნდა ვერჩოდე? მაგათთან პიროვნული არაფერი მაქვს.**

– შალვა, რა ფორმით შემოგითვალეს?

– ისეთ ნაცნობებთან ილაპარაკეს, იცოდნენ, ყველაფერს ჩემამდე მოიტანდნენ. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა შალვა ხაჭაპურიძეს, „ალიას“ თითქმის ყოველ ნომერში რომ გვთხრისო. აი, ახლა მე ვიწყებ ექსპერიმენტის ჩატარებას: დაახლოებით ორი კვირის შემდეგ კეზერაშვილის საქმე დაეწერება ერთ-ერთ „ნაციონალ“ მოსამართლეს, რამდენიმე დღეში მოვალ თქვენთან, რედაქციაში, დავწერ 3 მოსამართლის გვარს, ჩავდოთ ფურცელი კონვერტში და დავლუქოთ. როცა კეზერაშვილის საქმეს სააპელაციოში მოსამართლეს დააწერენ, ეს იქნება იმ სამიდან ერთ-ერთი. მკითხველი რომ არ დაიბნეს, განვმარტავ, საუბარია ერთ-ერთი ბიზნესმენის საჩივარზე, რომელიც პირველ ინსტანციაში წაგვაგებინეს და ჩვენ სააპელაციოში გავასაჩივრეთ. ამ ბიზნესმენს კეზერაშვილმა ყველაფერი წაართვა და გაანადგურა. მე სააპელაციო სასამართლოს ვუტარებ ტესტს, დღეს იქ 16-დან 3 მოსამართლე ემორჩილება თავმჯდომარეს, ვალერი ცერცვაძეს, რომელიც დადის და ტრაბახობს, „ქართულ ოცნებასთან“ საქმე მოვაგვარე, კარგი ურთიერთობა დავამყარეო. ეს სიმართლესთან ახლოსაა, ცოტა ხნის წინ ძმა მცხეთის პროკურორად დაუნიშნეს. მე „ქართულ ოცნებასაც“ ვაფრთხილებ: არ დაგინდობთ, ცერცვაძისთვის არ არსებობს სამართლიანობის პრინციპები, მისი ამომავალი წერტილი არის ზურაბ ადეიშვილი. მეტიც, მაქვს ინფორმაცია, როგორ შეხვდა ის უნგრეთში ადეიშვილს, როგორ გადაფრინდა პოლონეთში, როგორ გადაკვეთა საზღვარი და რა ლაპარაკი ჰქონდათ.

**— ეს ძალიან საინტერესო და სკანდალური განცხადებაა, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს, დავალებები მიიღო ადეიშვილისგან?**

– კი, დავალებები მიიღო, რომ კეზერაშვილი და მისი ქონება უნდა გადაარჩინონ, რადგან კეზერაშვილიდან ეგრევე გადიხარ სააკაშვილზე და მის ქონებაზე. სააკაშვილი რომ იძახის, ფული არ მაქვსო, გახსნან ოფშორული კომპანიების ანგარიშები და ნახავენ, რამდენი მილიარდი აქვს. აქ იყო ასეთი სქემა: ოთხი კაცი ალაგებდა ოფშორული კომპანიების თემას, ეს იყო ზურაბ ადეიშვილი, ეს იყო გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ამ სამი კომპანიიდან ფული გადადიოდა პრეზიდენტის ოფშორულ ანგარიშზე, რომელსაც კურირებდა კეზერაშვილი. როცა ეს ადამიანი დააკავეს საფრანგეთში, ამიტომ გაიგიჟა თავი სააკაშვილმა, ალბათ, გახსოვს, ყოველდღე გამოდიოდა და წერილებსაც წერდა: ჩვენი კეზერაშვილი, არიქა, ხელი არ ახლოთ, ეს პოლიტიკური დევნააო.

**— შალვა, დრო შეიცვალა, სხვა ხელისუფლება მოვიდა, ამ მოსამართლეებს რა ხეირი, რით არიან დაინტერესებულები?**

– აი, ეს ძალიან კარგი შეკითხვაა... ახლა ნახე, რა ხდება: 2012 წლის არჩევნების შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა არჩევნები, აქ უმრავლესობა აიღო „ნაცმოძრაობამ“ კოტე კუბლაშვილის მეთაურობით. ახლა არის ლაპარაკი, რომ თებერვალში კუბლაშვილი შეიცვლება და ამ „სასტავს“ ავტომატურად გამოაკლდება, მაგრამ „ნაციონალები“ მაინც უმრავლესობაში რჩებიან და ვისაც უნდათ, იმას მიიყვანენ, ხომ? აქაც მთელი სქემაა დაწყობილი – კუბლაშვილი რამდენიმე მოსამართლეს აშანტაჟებს, თუ ამას არ გააკეთებთ, მოსამართლეობის ვადას არ გაგიგრძელებთო. დღეს მოსამართლეების 99 პროცენტს ვადა აქვს ამოწურული და მოვალეობას ასრულებს.

**— ესე იგი, კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებს ვადას უგრძელებს და ამის შემდეგ მიდის, ხომ?**

– კი, ასეა... ახლა „ნაციონალები“ აწვებიან კუბლაშვილს, თებერვლამდე ყველაფერი მოაგვარე და ისე წადიო. აქ ძირითადად საუბარია კეზერაშვილზე, რომელიც დღესაც გახლავთ „ნაცმოძრაობის“ მთავარი ხაზინადარი. თუნდაც ბაჩო ახალაიას საქმე ავიღოთ, ამ ადამიანს 9 ბრალდება ჰქონდა წაყენებული და რვაში გამართლდა. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში 3 პროცენტი იყო გამამართლებელი განაჩენებისა და ახლა უცებ 99 პროცენტზე რანაირად ავარდა? აქ უკვე ანომალიასთან გვაქვს საქმე, ჩვენ დღეს გვაქვს სასამართლო, რომელიც ატარებს ერთი

**„დაახლოებით ორი კვირის შემდეგ კეზერაშვილის საქმე დაეწერება ერთ-ერთ „ნაციონალ“ მოსამართლეს, რამდენიმე დღეში მოვალ თქვენთან, რედაქციაში, დავწერ 3 მოსამართლის გვარს, ჩავდოთ ფურცელი კონვერტში და დავლუქოთ. როცა კეზერაშვილის საქმეს სააპელაციოში მოსამართლეს დააწერენ, ეს იქნება იმ სამიდან ერთ-ერთი“**



**„16-დან 3 მოსამართლე ემორჩილება თავმჯდომარეს, ვალერი ცერცვაძეს, რომელიც დადის და ტრაბახობს, „ქართულ ოცნებასთან“ საქმე მოვაგვარე, კარგი ურთიერთობა დავამყარეო. ეს სიმართლესთან ახლოსაა, ცოტა ხნის წინ ძმა მცხეთის პროკურორად დაუნიშნეს. მე „ქართულ ოცნებასაც“ ვაფრთხილებ: არ დაგინდობთ, ცერცვაძისთვის არ არსებობს სამართლიანობის პრინციპები, მისი ამომავალი წერტილი არის ზურაბ ადეიშვილი“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ბერი ერმოლაოსი მარიამობის დღესასწაულზე



ჩემო საყვარელო მეგობრებო, მთელი გულით გილოცავთ ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალე დღესასწაულს! მარიამობა ცხონებული ბაბუაჩემის საყვარელი დღესასწაული იყო და როცა მე ჯერ კიდევ პატარა ბავშვმა ვკითხე მას: „ბაბუ, რატომ ხარ ამ დღესასწაულზე ასე გახარებული?“, მიპასუხა: „ყველა სხვა დღეს ადამიანის გარდაცვალებას ჩვენ სიკვდილად აღვიქვამთ, მხოლოდ ამ დღეს შევიცნობთ მას, როგორც მიძინებას. დააკვირდი, ბაბუ, რამდენი იმედია ამაში ჩაქსოვილი!“

30 წელი შესრულდა, რაც შალვა ბაბუამ მიიძინა და თავისი იმედის აღსრულებას ეზიარა – იხილა აღსრულებული უფლის სიყვარული! ღმერთმა აცხონოს მისი სული!

თქვენ კი, ჩემო მეგობრებო, ასი წლის მერე, უფლის იმედით მშვიდ მიძინებას და ცათა სასუფეველში ღვთის სიყვარულის ალერსში გამოფხიზლებას გისურვებთ! (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დონეცკის ოლქის ქალაქი ნოვოაზოვსკი რუსეთის არმიის ნაწილებმა დაიკავეს



უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სპიკერის, ანდრეი ლისენკოს განცხადებით, დონეცკის ოლქის ქალაქი ნოვოაზოვსკი რუსეთის არმიის ნაწილებმა დაიკავეს. ასევე, დაკავებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

„იმის გამო, რომ რეგიონში განლაგებულ ჩვენს სამხედრო ნაწილებს არ აქვთ მძიმე შეიარაღება, ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჯარისო შენაერთებს უკან დაეხიათ, რათა შეგვენარჩუნებინა ჯარისკაცების სიცოცხლე. გამოყვანილია ანტიტერორისტული ოპერაციის ძალები, ასევე სასაზღვრო სამსახურისა და შსს-ს ქვედანაყოფები. მტერმა ნოვოაზოვსკი დაიკავა“, – აცხადებს ლისენკო. (ნიუპოსტი)

## ოკუპანტების მიერ გატაცებული სამი პირი გაათავისუფლეს




ხურვალეთიდან რუსი ოკუპანტების მიერ გატაცებული სამი პირი გათავისუფლებულია. გარკვეული დროის წინ გატაცებული მამა-შვილი აწკარუნაშვილები და ილია კუდუხაშვილი ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

აწკარუნაშვილებს თვითაღიარებული ხელისუფლებისთვის 4000 რუსული რუბლის, ხოლო კუდუხაშვილებს 2000 რუბლის გადახდა მოუწიათ. საქართველოს მოქალაქეები შეიარაღებულმა რუსმა ოკუპანტებმა 22 აგვისტოს ხურვალეთის მინდვრებიდან გაიტაცეს, მარიონეტულმა რეჟიმმა ისინი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით გაასამართლა, იმის მიუხედავად, რომ არც ერთ მათგანს პირობითი საზღვარი არ დაურღვევია. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

პარტიის ინტერესებს. იცი, მე კიდევ გული რაზე მისკდება? მართალია, „ქართული ოცნების“ წევრი ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ბიჭო, ადრე გამოვიდა ერთი და თქვა, გამოცხადება მქონდა და პრემია რომ არ გამომეწერა, არ გამოდიოდაო...



„2012 წლის არჩევნების შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა არჩევნები, აქ უმრავლესობა აიღო „ნაცმოძრაობამ“ კოტე კუბლაშვილის მეთაურობით. ახლა არის ლაპარაკი, რომ თებერვალში კუბლაშვილი შეიცვლება და ამ „სასტავს“ ავტომატურად გამოაკლდება, მაგრამ „ნაციონალები“ მაინც უმრავლესობაში რჩებიან და ვისაც უნდათ, იმას მიიყვანენ, ხომ? აქაც მთელი სქემაა დაწყობილი — კუბლაშვილი რამდენიმე მოსამართლეს აშანტაჟებს, თუ ამას არ გააკეთებთ, მოსამართლეობის ვადას არ გაგიგრძელებთო“

**— ეგ ირაკლი შიხიაშვილი იყო, თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე.**

– ჰო, რა ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს? ახლა რომელიღაცა გამგებელი გამოვიდა და ეს გოგო ჩემს მრჩევლად იმიტომ დავნიშნე, რომ გამოცხადება მქონდაო. აგერ, კიდევ ვილაცა იძახის, ჩემს მრჩევლად კბილის ექიმი იმიტომ დავნიშნე, რომ მეც გამოცხადება მქონდა, თან ჩემი ოჯახის მეგობარიაო. კარგი, რააა... ჩვენ კოტე კუბლაშვილის ოინებს ვუყუროთ თუ ამათ მატრაბაზობას? ვერ გავიგე, ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ თუ ბოსელს? შეიძლება მართლა მიიყვანო სამსახურში ახლობელი, შეიძლება კარგი სპეციალისტი იყოს, მაგრამ ეს გამოცხადებები რა უბედურებაა? ბიჭო, გამოდი და თქვი, რომ კარგი სპეციალისტია, მჭირდება, რატომ ბრიყვდები ასე? მოდით, მაიმუნობას თავი დავანებოთ და ქვეყანა ავაშენოთ, ამის დედა ვატირე, კბილის ექიმმა კბილი ამოიღოს. გავიხსენოთ, სააკაშვილის პერიოდში ჩვენ „სანტექნიკიც“ კი გვყავდა განათლების მინისტრად, მაგრამ ასე გავაგრძელოთ?!

**— შალვა, მთავარ თემას დავუბრუნდეთ: შენ განცხადებები გქონდა გაგზავნილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და პროკურატურაში, ითხოვდი მოსამართლეების შემოსავლების, ანუ გაფლანგული თანხების შესახებ ინფორმაციას. რა ხდება, პასუხები მიიღე?**

– საბჭოდან მოვიდა პასუხი, პროკურატურა ისევ დუმს. მე საბჭოდან მაინტერესებდა, რა თანხებია გახარჯული და რომელ მოსამართლეს რამდენი აქვს შემოსავალი, ან ჰქონდა გარკვეულ წლებში. ახლა ეს ცერცვაძე ფაშასავით რომ ზის და იძახის, მე უკვე „ოცნებასთან“ ვარ ჩახუტებული, ფეხებსაც ვერავინ მომჭამსო, ერთი უშიშროებამ გადაამოწმოს, საიდან აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, მამუკა ახვლედიანს გუდაურში უზარმაზარი სასტუმრო? მთელი სამი დღე რომ ლოთობდნენ ამ სასტუმროში და ხან ფანდურზე უკრავდნენ, ხან კიდევ გიტარაზე, ამათ პატრონი არ ჰყავთ?! ამაზე მთელი თბილისი ლაპარაკობს, აჰყავს ახვლედიანს გუდაურში თავისი თანამშრომლები, ბოზობენ და ერთი ამბავია იქ. ვერ გავიგე, რა უბედურებაა, დაწყევლილები ვართ?!

**— ასე გამოდის... იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან რა მოგწერეს?**

– ბატონო შალვა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის კაბინეტი, რომელიც 100 კვადრატულია, გავარემონტეთ და სულ რაღაც 33 ათასი ლარი დაგვიჯდაო. 100 კვადრატული კაბინეტი რად უნდა ცერცვაძეს, სტალინია? ან კვადრატულ მეტრზე 330 ლარი რა უბედურებაა? რაც შეეხება მოსამართლეების საკონფერენციო დარბაზს, ამაში ერთი თეთრიც არ დაგვიხარჯავსო. შენ ხომ გახსოვს, მე რაც მივწერე ამათ, „ქრონიკაშიც“ გამოქვეყნდა, საკონფერენციო დარბაზის რემონტი სადმე ვახსენე? მე რა კითხვებიც გავუგზავნე, პასუხები არ გამცეს, რაც აწყობდათ, ის მოახლაფორთეს. არც ხელფასებია ნახსენები, არც პრემიები. მე არ გავჩერდები, ახლა ხელახლა უნდა გავაგზავნო განცხადება, ჰააგის პროკურორი არ მოვასვენე, სააკაშვილს რომ ვუჩივლე, ესენი ვინ არიან?!



„სააკაშვილი რომ იძახის, ფული არა მაქვსო, გახსნან ოფშორული კომპანიების ანგარიშები და ნახავენ, რამდენი მილიარდი აქვს. აქ იყო ასეთი სქემა: ოთხი კაცი ალაგებდა ოფშორული კომპანიების თემას, ეს იყო ზურაბ ადეიშვილი, ეს იყო გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ამ სამი კომპანიიდან ფული გადადიოდა პრეზიდენტის ოფშორულ ანგარიშზე, რომელსაც კურირებდა კეზერაშვილი“

სამი დღის წინ კიდევ ადვოკატთა კოლეგიაში დისციპლინარულ კომისიაზე გამიყვანეს, თქვენ მოსამართლისთვის შეურაცხყოფა მიგიყენებიათ, ჯიბის მოსამართლე გიწოდებიათო. ჯერ ერთი, მე არ მიწოდებია, გაბედავამ უწოდა და მეორეც – ვერ გავიგე, ესენი მოსამართლეები არიან, გადაწყვეტილებები გამოიტანონ იმაზე, მე ვის რა ვუწოდე? სხდომა გადადეს სექტემბრისთვის, ვნახოთ, შეიძლება ადვოკატის უფლებამოსილება შემიჩერონ და მითხრან, კარგად იყავიო. მე ვატყობ, ვილაცებს ძალიან ცუდად დაუმთავრდებათ ეს ამბავი. ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი. ერთხელ ვახსენე კეზერაშვილი, ორჯერ ვახსენე, სამჯერ ვახსენე და ამის შემდეგ უკვე დისციპლინარული აღმიძრეს, შენ გგონია, მე ვერ ვხვდები, სიო საიდან უბერავს? ამათ ისეთი დეგენერატი ვგონივარ, რომ ვერ მივხვდე, რაც ხდება? მე ისიც ვთქვი, დღეიდან თქვენ ჩემს თვალში მოსამართლეები არა ხართ-მეთქი, მაგრამ ესეც არ იძლევა დისციპლინარული დევნის საფუძველს, ეს ჩემი აზრია და ამას არეგულირებს ევროკონვენცია. ვიმეორებ, ვილაცებს გამჩენი არ ასვენებს და ყველაფერი ძალიან ცუდად დაუმთავრდებათ!

**„ერთი უშიშროებამ გადაამოწმოს, საიდან აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, მამუკა ახვლედიანს გუდაურში უზარმაზარი სასტუმრო? მთელი სამი დღე რომ ლოთობდნენ ამ სასტუმროში და ხან ფანდურზე უკრავდნენ, ხან კიდევ გიტარაზე, ამათ პატრონი არ ჰყავთ?! ამაზე მთელი თბილისი ლაპარაკობს, აჰყავს ახვლედიანს გუდაურში თავისი თანამშრომლები, ბოზობენ და ერთი ამბავია იქ“**

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 3 სექტემბერს 17 მაისის საქმეზე ბრალდებულთა საქმის განხილვა გაიმართება



2014 წლის 3 სექტემბერს, 14:00 საათზე, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართება 2013 წლის 17 მაისის საქმესთან დაკავშირებით ბრალდებული პირების, მათ შორის სასულიერო პირის, იოთამ ბასილაიას საქმის განხილვა. მათ ბრალად ედებათ შეკრებისა და მანიფესტაციის ხელის შეშლა ძალადობით.

„ხსენებული პირების საქმის განხილვა დაიწყო 2013 წლის ივლისში და დღემდე გრძელდება. 2010-2014 წლებში სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლო საერთო იდეის – ერის სულიერი ერთობისა და სიწმინდის დაცვის ირგვლივ გაერთიანება. 2014 წლის 20 აგვისტოს კი ერმა ბოიკოტი გამოუცხადა „კაზანტიპის“ ნარკოფესტივალს, რომელიც რეალურად არის ერთსქესიან წყვილთა თავშეყრის ადგილი. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის განცხადებით, ღონისძიებამ სრული კრახი განიცადა.

ზემოხსენებული პირების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება 2010-2014 წლებში მიღწეული ეროვნული ერთობა, რაც შემდგომ წლებში მეხუთე კოლონას სრულ თავისუფლებას მისცემს ანტიეროვნულ, ანტიქრისტიანულ საქმეში. თანამებრძოლებს გასაჭირში ნუ მივატოვებთ, ქრისტიანობას ასამართლებენ. 3 სექტემბერს, 14:00 საათზე გელოდებით თბილისის საქალაქო სასამართლოში, დროა დავაგვირგვინოთ გამარჯვება“, – ნათქვამია ბრალდებულთა მხარდამჭერების განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „მე ვიძლევი გარანტიას, რომ ჩემპიონატი ჩატარდება“



კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე აცხადებს და კალათბურთელების მსგავსად ადასტურებს, რომ, ფაქტობრივად, ყველა კლუბში სირთულეები არსებობს.

კალათბურთის ფედერაციამ მთავრობას უკვე წარუდგინა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც უკვე გადაწყდება ეროვნული ჩემპიონატის დაწყების ვადები.

„აქტიურად ვმუშაობთ სპორტის სამინისტროსთან და, ასევე, სახელმწიფო უწყებებთან, უბრალოდ, ჯერჯერობით არ არის ბოლომდე სქემა, ტექნიკური საკითხი გადაწყვეტილი. ის, რომ ჩემპიონატი აუცილებლად ჩატარდება, მაგაზე გარანტიას ვიძლევით. როგორც ჩემთვის ცნობილია, „არმიის“ პრობლემა მალე გადაიჭრება, ასევე აქტიურად ვმუშაობთ სპონსორის მოძიებაზე სოხუმის კლუბისთვის, ეს კლუბი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს ჩემპიონატში“, – აღნიშნა გაბრიჩიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „არაფრის შეგვეშინდეს... ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მფარველობს საქართველოს“



კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს და სრულიად საქართველოს ღვთისმშობლის მიძინების დღე მიულოცა. „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არის საქართველოს მფარველი. ღვთის განგებით მას წილად ერგო საქართველო და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი განსაკუთრებით მფარველობს ქვეყანას, – აღნიშნა უწმინდესმა სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას. უწმინდესმა სიონის ისტორიული მძიმე დღეები გაიხსენა, როცა თბილისს ჯალალ-ედ-დინი შემოესია, რომელმაც სიონის საკათედრო ტაძარს გუმბათი მოხსნა, იქ ტახტი დაიდგა და 100 000 ქართველის წამებას იქიდან უყურებდა.

„ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა განსაკუთრებით მფარველობს საქართველოს და ამას ჩვენ ვხედავთ ჩვენი წარსულით. რამდენი სისხლი და ცრემლი უნახავს სიონის საკათედრო ტაძარს და რამდენი ბედნიერი დღეები. იმათი რწმენა გვაძლიერებს ჩვენ. ჩვენ არაფრის არ უნდა შეგვეშინდეს. მსოფლიოს განსაცდელები ექნება. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გადააფარებს კალთას და საქართველო გაბრწყინდება. არა მარტო გადარჩება, მქადაგებელი იქნება სიკეთისა და ჭეშმარიტების“, – აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა. (ნიუპოსტი)

„ალიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, **ეკა ბესელია** ესაუბრება:



# პროკურატურამ გიგა ბოკერიას საქმეების გამოძიება დაიწყო

**— ეკა, დავიწყოთ იმით, რა ხდებოდა ბუქარესტში, საიდანაც საპარლამენტო დელეგაცია ორი დღის წინ დაბრუნდით?**

– ადამიანის უფლებების დაცვას ეხებოდა, მე-11 საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. აქ ძირითადად ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებზე იყო საუბარი. ეს კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება.

**— ამბობენ, ქვეყნის გარეთ ვილაცებს აჯერებენ, თითქოს საქართველოში საქმე ვერაა კარგად. შენ ხშირად დადიხარ უცხოეთში, ხვდები კოლეგებს, ევროპელ პოლიტიკოსებს, როგორი განწყობაა?**

– დიახ, ხშირად მაქვს საუბრები ჩვენს უცხოელ კოლეგებთან, რეულის ჩამოყვანა. „ნაციონალების“ ადვოკატს, ოთარ კახიძეს რომ ჰკითხოთ, სააკაშვილის პიჯაკებმა გადაარჩინა ქვეყნის უსაფრთხოება და საჩუქრად გაღებულმა სამაჯურებმა. სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში აღიარა, ქრთამის სახით ვიძლეოდი ამ საჩუქრებს სხვა ქვეყნების ლიდერებისთვის, რათა აფხაზეთი და ოსეთი არ ეღიარებინათო. ხომ გესმის, ეს რასაც ნიშნავს?

სააკაშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები დემოკრატიულ ქვეყნებში არ უკვირთ. იქ, სადაც საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს არჩევნებში დაფინანსების წყაროს კანონიერებაზე ედავებიან, იტალიის ყოფილ პრემიერს – სამოხელეო დანაშაულებზე და რამდენიმე ქვეყნის ლიდერი უფრო უმნიშვნელო საქმეებზეა ბრალდებული, ეს ნამდვილად რომ წაუყენეს. სულ რამდენიმე ადამიანი დარჩა პირად მეგობრებში და ეს ნამდვილად არ ნიშნავს დემოკრატიული სამყაროს პოზიციას.

**— ეკა, დრო გადის, რეაბილიტაცია და მსხვერპლთა აღიარება გვიანდება.**

– დრო გადის, მაგრამ არა უქმად.

**— თუ ვაღიარებთ, მაშინ ხომ არ მივდივართ იქით, რომ „ნაცმოძრაობა“ საერთოდ უნდა აიკრძალოს, ან გასამართლდეს?**

– ამ საქმეების გამოძიება დაადგენს უამრავი ყოფილი თანამდებობის პირის ბრალეულობას, ყველაფერს მიეცემა სისტემური დანაშაულის ფორმა და ამის შემდეგ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ სისტემის გასამართლებაზე. იმდენად მოცულობითია ეს სამუშაო, რომ შეუძლებელია უფრო სწრაფად დასრულება.

რომელთაც ვაცნობთ, რა ხდებოდა წარსულში. მათ უკვე კარგად იციან, როგორი „დემოკრატიის შუქურაც“ იყო სააკაშვილი და ეს ილუზია არავის აქვს ევროპის „სახალხო პარტიის“ წევრების გარდა. მარტო გოგა ხაინდრავას ფილმი და ციხის კადრებიც კმარა. დიახ, იციან და არავინ იდებს თავს სააკაშვილისთვის.

**— საინტერესოა, რას ამბობენ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებზე?**

– სააკაშვილს ჰყავს ლობისტები... ზოგიც პირადი განწყობის გამო ცდილობს მის დაცვას. მაგალითად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც დაუფარავად ამბობდა, რომ მიშა მისი მეგობარია და აქვს პირადი განწყობა. ამას რა კომენტარი სჭირდება? მშვიდობაში მოახმაროს. ეს პირადი ურთიერთობები რაზეც გადიოდა, კარგად ვიცით და ისიც ვიცით, რას ხმარდებოდა უშიშროების საბჭოს მილიონები. „ნაციონალებს“ რომ ჰკითხო, ლობისტებსო. არადა, მათი პირადი ურთიერთობებიც კარგად ვნახეთ. მათი ლოგიკით, თურმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია მასაჟისტისა და პირადი მზარეულის... არ უკვირთ. ის უფრო გაუკვირდებოდათ, ამაზე თვალი რომ დაეხუჭათ სამართალდამცავებს და არ მოეხდინათ რეაგირება. ჯერ კიდევ რამდენი საქმეა გამოსაძიებელი? უამრავი ადამიანი ელოდება სამართალს. მომწონს, რომ პროკურატურა გააქტიურდა. მიმაჩნია, რომ სამართლის აღსრულების შემადგენელია იმ რეჟიმის მსხვერპლთა აღიარება და რეაბილიტაცია. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად მოტივირებულია, რათა იმ ადამიანებს დაეხმაროს, ვინც ძალადობის მსხვერპლი იყო. ამ სამართლებრივ მექანიზმებზე მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ პარლამენტში დასკვნა მივიღეთ ბოლო 9 წლის სამართლებრივი შეფასებით და რეკომენდაციებიც დავამტკიცეთ. არაადამიანური მოპყრობის ყველა საქმე უნდა იყოს ბოლომდე მიყვანილი. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნა ხომ ვნახეთ, რა მკაცრი იყო? ჩვენ პირდაპირ მიგვითითეს, უფრო მკაცრი კვალიფიკაციაა საჭიროო. ახლა „ნაციონალებს“ ჰგონიათ, მთელი სამყარო გლოვობს, სააკაშვილს ბრალი ყველაფერს თავისი სტადია აქვს. დამიჯერეთ, არ დარჩება ეს ყველაფერი ლოგიკური დასასრულის გარეშე.

**— როგორ წარმოგიდგენია, სააკაშვილის დაპატიმრება, ეს რეალურია? ახსნა მინდა, როგორ შეიძლება მოხდეს პროცედურულად?**

– მე მგონია, რომ მთავარი მაინც მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობაა. ეს არის პრინციპული საკითხი, სახელმწიფომ კანონი უნდა დააყენოს ყველაზე მაღლა. ამ გამოწვევას გაუძლო ხელისუფლებამ და ეს მიმაჩნია ამ ყველაფერში მთავარ საკითხად. დანარჩენი პროცედურებია და პროკურატურას აქვს 80 ტომზე მეტი იმ საქმეებზე, რაზეც ბრალია წარდგენილი. სხვა ეპიზოდები ცალკეა.

**— უშიშროების საბჭო ახსენე წეღან და გაფლანგული თანხები, ამაზე გამოძიება მიდის? შეიძლება, რომ გიგა ბოკერიაც ვიხილოთ პროკურატურისკენ მიმავალ გზაზე?**

– რასაკვირველია, გამოძიება მიმდინარეობს, დაველოდოთ, პროკურატურა რას დაადგენს. 50 მილიონს რომ ითხოვდა უშიშროების საბჭო, რისთვის? თურმე 5 მილიონითაც შეიძლება ამ სამსახურის მუშაობა, სად მიდიოდა ის თანხები? ცალკეა შავი სალაროს საკითხი და უამრავი სქემა, რომელიც ნელ-ნელა დღის სინათლეზე გამოდის. რომ გადავხედავ ხოლმე ამ ბოლო წლებს, შიში მიპყრობს, რა ადამიანებს ებარათ ქვეყანა? კაცთმოძულეებსა და სადისტებს.

**— სასამართლოზეც მინდა გკითხო, რამე ცვლილებები არის ამ მხრივ? როგორც მითხრეს, ბევრ მოსამართლეს ვადა ამოეწურა და მაინც კუბლაშვილის ნებაზეა, ახლა ვის გაუგრძელებს ვადას. ეს ადამიანი თებერვლამდე მაინც ასწრებს, რომ თავის ხალხს გაუგრძელოს ვადა?**

– კი, ვადა ეწურება კუბლაშვილს და ვფიქრობ, ეს რეალობა ბევრ რამეს შეცვლის. ის ინერცია, რომელიც მოსამართლეების ნაწილში გრძელდებოდა, დასრულდება და ყველა იგრძნობს, რომ სამართალს უნდა ემსახუროს. იუსტიციის საბჭოშიც შეიცვლება ვითარება, დღეს ისევ რთული ვითარებაა სწორედ კუბლაშვილის გამო. ვადის გაგრძელება არ მოხდება ავტომატურად, ჩვენ მივიღეთ ახალი წესები და ვიდრე მოსამართლე უვადოდ დაინიშნება, გამოსაცდელი ვადა იქნება 3 წელი.

**— ეკა, როცა სააპელაციო სასამართლოს უფროსი, ვალერი ცერცვაძე უნგრეთში ჩადის და ადეიშვილს ხვდება, ეს რას ნიშნავს? როცა ამ ცერცვაძის ძმას მცხეთაში პროკურორად ნიშნავენ, ეს რას ნიშნავს?**

– თუ ეს ასეა, პირდაპირ უნდობლობის საფუძველია. ცერცვაძის მიმართ არც არასდროს ყოფილა ნდობა, მაგრამ, თუ ეს ფაქტები დადასტურდება, იუსტიციის საბჭომ უნდა იმსჯელოს. მე დავინტერესდები ამ ფაქტით.

**— როცა ადამიანი დათვრება და იძახის, ფეხებზე მკიდია, „ოცნებასთან“ საქმე უკვე მოვაგვარეო, ხომ ხვდები, რა დონეზეა გათამამებული?**

– ეს ფაქტები უთუოდ შესასწავლია, გელა, და საყურადღებო. რასაც მეუბნები, ამას აუცილებლად შევისწავლი.

**— ამ ყველაფერზე ლაპარაკობს შალვა ხაჭაპურიძე და ამას გამოვაქვეყნებთ. გადაამოწმეთ, რატომ დაუნიშნეს ძმა მცხეთის პროკურორად?**

– კარგი, გადავამოწმებთ, აუცილებლად დავინტერესდებით.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სამწუხაროდ, „კაზანტიპი“ ჩავარდა“



ზუგდიდის საკრებულოს წევრი ანი წითლიძე „კაზანტიპის“ ფესტივალთან დაკავშირებით „ფეისბუკის" გვერდზე წერს.

„მოსახლეობას: აწი ისწავლიან, რომ ხამი არ უნდა იყო და ერთი ქილა მაწონი 3 ლარად არ უნდა გაყიდო. ტურიზმის განვითარება ტურისტების გატყავებას არ ნიშნავს. ხელისუფლება: ზედმეტი დაპირებების გაცემა 35 ათას ტურისტზე ნაადრევი იყო, როდესაც ისიც ვერ შეძელით, ეკლესიასთან მოგეგვარებინათ საქმე და ტაბურეტკებით არ მდგარიყვნენ მანდ. ჩავარდით ორგანიზაციულ საკითხებშიც, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარების პირობები არ შეასრულეთ. ადგილობრივი ხელისუფლება: გუბერნატორის აპარატიდან დათო კოდუა მონიშნეთ რა ამ სტატუსზე:) ისე იბღინძებოდა და წინა ხელისუფლების „ბუტაფორიულ“ პროექტებზე საუბრობდა, ახლა ამ პროექტებზე მისი კომენტარი და 35 ათას „გადაჭედილ“ ტურისტზე საინტერესო იქნება. წილებში ჩაჯდომაზე მოთხოვნა მსგავსი პროექტებისას ტეხავს. „კაზანტიპის“ ორგანიზატორებს: ამდენი წელია, ეს პროექტი ტარდება და ბევრად მეტი წარმოდგენა მქონდა ორგანიზაციული კუთხით, რის საფუძველზე ელოდნენ 35 ათას ტურისტს, როდესაც ჩამოსული სტუმრების დიდი ნაწილი ქართველები, ანუ ადგილობრივები იყვნენ“, – წერს წითლიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინა ევროკავშირს ფართომასშტაბიან სამხედრო დახმარებას სთხოვს



უკრაინა მოუწოდებს ევროკავშირს, 30 აგვისტოს, სპეციალურ სხდომაზე განიხილოს უკრაინაში არსებული ვითარება, შემოიღოს გამკაცრებული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და აღმოუჩინოს უკრაინას ფართომასშტაბიანი სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური დახმარება რუსეთის პირდაპირი აგრესიის წინააღმდეგ.

„უკრაინამ და ევროკავშირმა უნდა შეაჩერონ ეს ომი. საკმარისია აგრესორის მიმართ დათმობები! სოლიდარობა აბსოლუტური და უეჭველი უნდა იყოს. ის უნდა აისახოს მტკიცე და არსებით სანქციებში, უკრაინისთვის ფართომასშტაბიანი სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური დახმარების აღმოჩენაში, რათა აგრესორი შეჩერებულ იქნას“, – აცხადებს ევროკავშირში უკრაინის მუდმივი წარმომადგენელი კონსტანტინე ელისეევი. (ნიუპოსტი)



## დონეცკი საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქემ დატოვა

დონეცკში საქართველოს კონსულის განცხადებით, დონეცკის ოლქი საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქემ დატოვა.

„პრაქტიკულად საქართველოს ყველა მოქალაქემ დატოვა დონეცკი, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც ანტიტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობს. საჭიროების შემთხვევაში ისინი მიმართავენ საქართველოს საკონსულოებს, იქნება ოდესა, ან კიევში საქართველოს საელჩო ან საკონსულო“, – აცხადებს ადვაძე. (ნიუპოსტი)



# რა კანონების შეცვლისთვის იწყებს ბრძოლას შალვა ნათელაშვილი?

**„ალიას“ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, არასაპარლამენტო ოპოზიცია აპირებს გაერთიანებას ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. თქვენ რას იზამთ, შეუერთდებით?**

– შევთანხმდეთ თავიდანვე, არანაირ ვადამდელ, რიგით და რიგგარეშე არჩევნებს ჩვენს ქვეყანაში არასდროს ექნება აზრი, თუ არ გადაიხა საარჩევნო კოდექსი, რადგან ის აკანონებს უსამართლობას, გაყალბებას, ძალადობას, არალეგიტიმური ხელისუფლების სათავეებს და ყველა უბედურების მაცნეა. უნდა შევქმნათ თანასწორი, ზნეობრივი კოდექსი, მსოფლიოში აპრობირებული კოდექსი პირდაპირ გადმოვწეროთ, ახლის მოგონება საჭირო არაა.

**— როცა ხედავთ, ასეთი მძიმე სიტუაციაა, რატომ ვერ ახერხებს არასაპარლამენტო ოპოზიცია ამბიციების გვერდზე გადადებას და გაერთიანებას, რომ „ნაცები“ გაისტუმროთ, იქნებ თავად ხელისუფლება აცხადებს ვადამდელ არჩევნებს, ცალ-ცალკე ხომ გაგიჭირდებათ? თუ გაერთიანებას ვერ მოახერხებთ, „ნაციონალები“ კი არა, რადარებიდან თქვენ უფრო გაქრებით ყველა ერთად.**

– ეს საყვედური ყველაზე ნაკლებად მე მეკუთვნის. საუბედუროდ, ისე წავიდა ქვეყნის განვითარების ვექტორი, ვისაც აქვს მილიონები, იმას აქვს ძალაუფლება და პოლიტიკის ფლობის რესურსები. პოლიტიკა განდევნილია ქართული პოლიტიკიდან, ის ჩაანაცვლა ერთმა პარტიამ, რომელიც წარმოადგენს მილიონერთა კლუბს სხვადასხვა ფრაქციებით. ამ ფრაქციებიდან ზოგს ჰქვია „ნაცმოძრაობა“, ზოგს – „ოცნება“, ზოგს – „მრეწველობა“, ზოგს – „მაჟორიტარები“, მათი რეალური პარტიული კუთვნილება კი არის მილიონერთა ყაჩაღური კლუბის წევრობა. სანამ ამ ხალხს არ გამოვდევნით იმ ადგილიდან, მოტყუებით და ძალადობით რომ ჩაიგდეს ხელში, მანამდე ყველა პოლიტიკური ძალა იქნება არასაპარლამენტო. ასე დიდხანს გაგრძელებაც არ შეიძლება. ასე ქვეყანა დაილუპება, ოლიგარქებმა 50-მილიონიანი უკრაინა დალუპეს. ხომ ხედავთ? იქ არის ოლიგარქების ბრძოლა, დონეცკში იანუკოვიჩის, აქეთ პოროშენკოს მილიონერთა ჯგუფი და მათმა შერკინებამ უკრაინა გაგლიჯა შუაზე. ამათი ბატონობა კი გამოიწვევს საქართველოს დაშლას. ყველაზე დიდი მტერი ჩვენი ოჯახებისა და შვილებისა ის მილიონერთა კლუბია, რომელიც დღეს პარლამენტშია, ამიტომ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში არასაპარლამენტო ოპოზიცია და მათი ადგილი დაიკავოს, თუ ქვეყანას გადაშენება არ უწერია.

**— სწორედ მაგას გეუბნებით, მაგრამ ამას გაერთიანების გარეშე როგორ მოახერხებთ?**

– მე ვარ მომხრე გაერთიანების. ჩვენ შევინარჩუნეთ ქვეყანაში ერთადერთი კლასიკური პარტია, რომელიც არასდროს დაძვრებოდა მანდატების გამო ბლოკებში, მილიონერებთან და ე.წ. ახალი ეპოქის ადამიანებთან. როგორ გგონია, ბლოკში რომ შევსულიყავი ასლან აბაშიძესთან, შევარდნაძესთან ან სააკაშვილთან, ახლა ჩემგან ინტერვიუს აღება მოგინდებოდა? პარტია გაქრებოდა. ჩვენ გავერთიანდებით, მაგრამ ჯერ შევიდეთ პარლამენტში ცალ-ცალკე, იქ გავაკეთოთ კოალიციური მთავრობა, მე არანაირ პოსტს არ დავიკავებ, ყველას ხელს შევუწყობ და დავთმობ ყველაფერს, ოღონდ ქვეყანას რამე ეშველოს. იმისთვის, რომ პარლამენტში ხალხი შევიყვანო, გამოვაცხადო ბლოკი და კოალიცია და მერე ხელისუფლებაში ყოფნა გაინაღდონ, გადაბარგდნენ ხან სად და ხან სად, ასე სად არის? ეს რახან ჩვეულებრივ ამბად იქცა, უნდა მივიღოთ კანონი, რომ, თუ ბლოკიდან ან პარტიიდან გავა დეპუტატი და შეიცვლის კუთვნილებას, მან უნდა დატოვოს პარლამენტი. თუ ეს კანონი იქნება მიღებული, კოალიციას გავაკეთებ ყველასთან, ისე არ ვენდობი არავის.

**— „ოცნება“ ხელისუფლებაში უამრავი დაპირებით მოვიდა, მაგრამ თითქმის არაფერი გაუკეთებია, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის კეთილდღეობას არაფერი დასტყობია. რატომ, უუნაროები არიან, არ იციან რა როგორ გააკეთონ თუ ისევ „ნაცები“ უშლიან ხელს?**

– მარტო „ნაციონალები“ კი არა, თავიანთი სიმდიდრე უშლით ხელს. ისინი სიმდიდრის დასაცავად და გასამრავლებლად მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათი ქვეცნობიერი ინსტინქტური მიზანი ეს იყო, ამიტომ ამ მიზნის ტყვეები არიან. როგორ გგონიათ, ივანიშვილმა რომ დააბრუნოს ხალხისთვის წართმეული სტრატეგიული სიმდიდრეები, ყოველ წელს რამდენ ზარალს ნახავს იმ „კვარციტის“ დაბრუნებით, რომელიც ახლა მისი საკუთრებაა? ხომ იზარალებს მილიონებს? ან უკანონოდ მიტაცებული სავარგულები რომ დააბრუნოს ხალხზე, რომელიც ინდოელებსა და ირანელებზე გაყიდა, მაშინ ხომ ადგება მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი და დაუყადაღებს ოფშორებში განთავსებულ მილიარდებს. გიჟია ახლა, საკუთარ თავს ავნოს? შეიძლება, ძალიანაც უნდა, მაგრამ თავისი მილიარდების ტყვეა. ვერც ხე-ტყის მასობრივ ჭრას აკრძალავს, მაშინ დაზარალდება მისი ფირმა „ატუ“. წაბლის ხეები გაჩეხა სულ შაორის წყალსაცავზე ამ ფირმამ. დავუშვათ და აკრძალა ნეპოტიზმი, ნათესაობის ნიშნით ხალხის დაწინაურება, მაშინ მთელი მთავრობა უნდა მოხსნას, ყველა გუბერნატორი გაუშვას, რომლებიც მის „ქართუ ბანკში“ არიან გამოზრდილები. ამიტომ მათი დაპირებების შესრულება მათ საოჯახო არსებობას ეწინააღმდეგება.

**— კოალიციიდან მოგდით ინფორმაციები? რა ხდება შიგნით, ხომ არ იცით?**

– დღემდე მათი ერთიანობის შენარჩუნება ეყრდნობა უზნეობას. ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირება, რაც ტელევიზიით გავრცელდა, მონაგონია იმასთან შედარებით, რაც შიგნით ხდება. მრცხვენია მათ მაგივრად, ისეთ რამეებს აკადრებენ ერთმანეთს და ისევ ერთად არიან. ესენი არიან მტაცებლების ჯოგი, რომელთაც ზნეობა არ გააჩნიათ და წარმოადგენენ ივანიშვილის ჯიბის კაცუნებსა და ქალუკებს. უზნეო ძალა, როდის იყო, ტაძრამდე მიდიოდა? რაც ხდება შიგნით, ამის შესახებ ვიცი, რომ დიდი დაკა-დაკა და სისინია, მიდის ცემა-ტყეპა განსაკუთრებით დაბალ რგოლებში, მიდის ნათესავების მოწყობა და მერე ჩხუბი იმაზე, ვინ მეტი ნათესავი მოაწყო. კახა კალაძის ცოლისძმა მერიის სამსახურის უფროსად დანიშნეს და სხვისმა ნიჭიერმა ცოლისძმამ რა ქნას? ეს არ არის სირცხვილი?

**— უამრავი დამნაშავეა ჯერ კიდევ დასაჭერი „ნაცმოძრაობის“ რიგებში, მაგრამ შიშიც არ აქვთ, პირიქით, მორალს გვიკითხავენ, რატომ ვერ იჭერენ?**

– ვერ აღადგენენ სამართლიანობას, რადგან უსამართლობის დამფინანსებლები იყვნენ თავად, როცა სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში. ივანიშვილმა რომ სამართლიანობა აღადგინოს და გატაცებული მილიარდები აღმოუჩინოს მათ, თავის თავსაც ამხელს, რადგან ეს მილიარდები თავად გადაურიცხა მათ პანამასა და ვირჯინიის კუნძულებზე. მათ აქვთ საკრალური საიდუმლო წერტილები, თუ ერთმანეთს ჩაუშვებენ, ორივე ჩაიძირება. ეს არის მათი ზეობის საფუძველი, რომელიც მათ კრავს.

**— დაგვპირდნენ, გახმაურებული საქმეები მალე გაიხსნებაო, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმის. რა ხდება პროკურატურაში, ხომ არ იცით?**

– სამარცხვინოა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ქვეყანაში ჩამოიყვანო უცხოელი გადამდგარი პროკურორები და იურისტები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში აღარავის სჭირდება, ახლა კი უნდათ, ფული გააკეთონ. ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ ივანიშვილმა მათ დიდი ფული გადაუხადა? უფულოდ ვინ ჩამოიტყუებდა მაგათ, წინ ბაჰამის კუნძულები აქვთ, აქ რა უნდოდათ? შესაშინებლად ჩამოიყვანეს ეს ხალხი. ამათ უნდოდათ, სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმის გასამყარებლად გამოეყენებინათ ეს პროკურორები. ვერც ამას მიაღწევენ, რადგან სააკაშვილის უცხოელი მეგობრები დღემდე იმავე პოზიციაზე რჩებიან. მთელი მსოფლიოს იურისტები რომ აქ ჩამოვიყვანოთ, არაფერი იქნება, თუ თავად ამათ არ იმოქმედეს კანონის ფარგლებში. ეს იყო წმინდა წყლის პიარი, რომ შეეშინებინათ სააკაშვილის უცხოელი მეგობრები. მე ვებრძოდი შიშველი ხელებით და მე ვამხილე ბრაიზა და ბილდტი, როცა ივანიშვილის ფულით ფინანსდებოდნენ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განცხადება



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უკრაინის მოვლენებს სპეციალური განცხადებით ეხმაურება.

„უკიდურესად შეშფოთებული ვართ უკრაინაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. დღეს საფრთხის წინაშე დგას კიდევ ერთი ევროპული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. დაუშვებელია, რომ სახელმწიფოთა საზღვრები იცვლებოდეს გარე ძალების უხეში ჩარევისა და სამხედრო აგრესიის გზით.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და საერთაშორისო თანამეგობრობას ერთიანი ძალისხმევისკენ მოვუწოდებთ, ევროპაში ახალი ომის თავიდან ასაცილებლად“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## რუსეთში პუტინის ნდობის რეიტინგი ეცემა



„ლევადა ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად რუსეთში პუტინის ნდობის რეიტინგი ეცემა. აგვისტოში რეიტინგმა ცვლილება განიცადა. თუ 1-4 აგვისტოს მონაცემებით, პუტინის მოქმედებას გამოკითხულთა 87% იწონებდა, 25 აგვისტოს მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 84%-მდე დავიდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარიამობა ქართველმა სამხედროებმა ავღანეთში აღნიშნეს



მარიამობის დღესასწაული „აისაფ“-ის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა ავღანეთში აღნიშნეს.

ქართველმა სამხედროებმა დღესასწაული ავღანეთში ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე იზეიმეს. საეკლესიო ლიტურგია ბატალიონის კაპელანმა მამა პეტრე ხახიშვილმა აღავლინა. სამხედრო მოძღვარმა ბატალიონის პირადი შემადგენლობა დალოცა და ქართველ ჯარისკაცებთან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ იქადაგა. ლიტურგიის დასრულების შემდეგ, ზიარების ცერემონიალი გაიმართა. (ნიუპოსტი)

## როგორი იქნება ამინდი 29 აგვისტოდან საქართველოში



29 აგვისტოდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არამდგრადი ამინდებია მოსალოდნელი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადებით, სანაპირო ზოლიდან დასავლეთის გრილი და ნოტიო ჰაერის მასების შემოსვლა დაიწყება, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არამდგრად ამინდებს გამოიწვევს.

29-30 აგვისტოს საქართველოს უმეტეს რაიონებში დროგამოშვებით ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, სინოპტიკოსები სეტყვასაც ვარაუდობენ.

29 აგვისტოდან დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა დაიკლებს, აღმოსავლეთ საქართველოში კი ცხელი ამინდები შენარჩუნდება. 30 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით დაიკლებს და ხანმოკლე წვიმები გაგრძელდება. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# რა წერია „სითი პარკსა“ და მერიას შორის გაფორმებულ საიდუმლო ხელშეკრულებაში?

**27 აგვისტოს თბილისის მერიამ განაცხადა, „სითი პარკთან“ დადებულ ხელშეკრულებას ვასაჯაროებთ, ისეთი მუხლებია ხელშეკრულებაში, რაც კომპანიის სასარგებლოდ მუშაობს მხოლოდ და მერიის უფლებები შეზღუდულიაო. ამის მეტი, კონკრეტულად, არაფერი თქმულა.**

**რა წერია ხელშეკრულებაში და რას უმალავდნენ საზოგადოებას 2007 წლიდან დღემდე?**

**„ალია“ დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატს, შალვა ოგბაიძეს ესაუბრა, რომელიც მერიისა და „სითი პარკის“ წარმომადგენელთა შეხვედრას ესწრებოდა:**

– „სითი პარკის“ მფლობელებთან შეხვედრა, რამდენიმე დღის წინ, დავით ნარმანიას ინიციატივით შედგა. შეხვედრას, თბილისის სამსახურის ხელმძღვანელები, მერის მოადგილეები და დედაქალაქის საკრებულოდან მე და ბატონები ჯაბა სამუშია და ალეკო ელისაშვილი ვესწრებოდით. შეხვედრაზე იმ არგუმენტებით შეიარაღებული მივედი, რაც ჩვენს ამომრჩევლებთან ასგზის გავლილი გვქონდა.

**— რა პოზიცია ეჭირა ბატონ ნარმანიას?**

– დედაქალაქის მერის შემტევმა პოზიციამ გამაოცა. ვგულისხმობ იმას, რომ ეს არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის. ის საკმაოდ კარგად იყო მომზადებული და კონკრეტულ მუხლებზე გააკეთა აქცენტი.

**— უშუალოდ თქვენ რამე საკითხი წამოწიეთ?**

– მე დავაყენე საკითხი, ამ ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე. ორგანული კანონის თანახმად, ადმინისტრაციული მოსაკრებლის „ამოღება“ შეუძლია მხოლოდ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. ხოლო გიგი უგულავას, 2009 წლის 2 თებერვალს, ეს უფლება „სითი პარკისთვის“ გადაუცია, რაც ანტიკონსტიტუციურია. შემდეგ ეტყობა, ვიღაცამ უთხრა, რომ ეს ფაქტი ძალიან „ყვირის“ და 2011 წლის სექტემბერში შეიტანეს ცვლილება და ამ უფლების დელეგირება დაამტკიცეს ცვლილებით ორგანულ კანონში.

**— რა მუხლზეა საუბარი?**

– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 125-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებზე ოქმის შედგენის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ შსს ადმინისტრაციულ ორგანოებს, ხოლო უგულავას 11.02.2009 წლის №17 ბრძანებით საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენის უფლება მიენიჭა შპს „სითი პარკს“. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ბრძანებით უგულავამ თავი დააყენა კანონზე მაღლა და თავისი ბრძანებით, ფაქტობრივად, დააკანონა შპს-თვის საკუთარი თანამოქალაქეების ყვლეფა. ეს ბრძანება არის ანტიკონსტიტუციური, კორუფციისა და უფლებამოსილების აშკარა გადამეტების ნიშნის შემცველი და ფაქტობრივად, წარმოადგენს უგულავას საბრალდებო დასკვნას. უგულავამ, თითოეულ თბილისელს თავზე გადაახია საქართველოს კონსტიტუციაც და ორგანული კანონიც. ამიტომ, 2007-2011 წლებში, „სითი პარკის“ მიერ ამოღებული თანხა ექვემდებარება დაბრუნებას. უნდა ჩაურთო საჯარიმო მრიცხველი და ეს გადასახადი, როგორც ანტიკონსტიტუციური, უკან უნდა დააბრუნებინო. „სითი პარკი“ მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირია, როგორ შეიძლება მოგებაზე ორიენტირებულმა პირმა, ჯარიმები აკრიფოს?!



**„აი, 70-ლარიანი ჯარიმა რომაა, საჯარიმო მოედანზე გადაყვანას ვგულისხმობ, ის იცით, რა თანაფარდობა მოქმედებს? — 100% მიდის „სითი პარკისკენ“. სიტყვების მოძებნაც მიჭირს, რომ ეს ფაქტი შევაფასო, ძარცვა, თავხედობა, უტიფრობა — ყველაფერია!“**

არ არის შეთანხმებული საპატრულო პოლიციასთან. აქვე დავსძენთ, რომ ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულ დედაქალაქის 1-ელ ზონაში (ცენტრალური უბნები) რატომღაც ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაც მოხვდა, ასევე, ხელშეკრულებაში წერია, რომ თანაფარდობა 60/40%-ზეა. ანუ შემოსავლების 60% – თბილისს, 40% კი – „სითი პარკს“. გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ეს 40%-იც იყოფა, „ნაციონალები“ იღებენ და სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, გიგი უგულავა, დავით კეზერაშვილი და „ნაციონალების“ გარკვეული ჯგუფი, მინიმუმ, 20 000 ლარით მდიდრდებიან.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

– ეს 60/40-ზე ჯარიმებიდან და საშვების გაყიდვებიდან შემოსული თანხაა. აი, 70-ლარიანი ჯარიმა რომაა, საჯარიმო მოედანზე გადაყვანას ვგულისხმობ, ის იცით, რა თანაფარდობა მოქმედებს? - 100% მიდის „სითი პარკისკენ“. სიტყვების მოძებნაც მიჭირს, რომ ეს ფაქტი შევაფასო, ძარცვა, თავხედობა, უტიფრობა – ყველაფერია!

გარდა ამისა, ხელშეკრულებაში წერია, რომ მათ უნდა შემოიღონ არათუ ყოველთვიური, ყოველწლიური, ან ყოველკვირეული, არამედ ყოველდღიური, საათობრივი გადასახადიც კი, რაც რეალურად არ მოქმედებს და რომ დაგჭირდეთ მათთვის მინიჭებული ადგილით ერთი საათით სარგებლობა, აუცილებლად ერთკვირიანი სარგებლობის საშვი უნდა შეიძინოთ.

შემდეგი საკითხი – თბილისის ზოგიერთი ქუჩა საშუალებას იძლევა, რომ მანქანები ტროტუარზე გაჩერდნენ ისე, რომ ფეხით მოსიარულეებს ხელი არ შეუშალოს. იმ ტროტუარზე, საშვი რომ არ მქონდეს, ან ვადაგასული საშვი მქონდეს, ხომ დამაჯარიმებს „სითი პარკი“?! ამასთანავე, ბორდიურზე რომ ადიხარ და საბურავს აფუჭებ, ეს პანდუსები ვისი გასაკეთებელია? ხელშეკრულების თანახმად, ესეც მათი გასაკეთებელია!.. ხელშეკრულების თანახმად, მათ უნდა მოაწყონ ტროტუარი პარკირებისთვის. ამ ბორდიურებზე დათხლეშილი აქვთ საბურავები.

კიდევ ერთი საოცრება – ხელშეკრულების მიხედვით, თუ მერია ცალმხრივად გაწყვეტს ხელშეკრულებას, „სითი პარკის“ გასული წლის შემოსავალი უნდა გამრავლდეს 120-ზე და თბილისელების ჯიბიდან გადავუხადოთ „სითი პარკს“ იმისთვის, რომ დაგვემშვიდობოს.

„სითი პარკი“ ჩაკეტილი ტიპის ორგანიზაციაა, რომლის ერთადერთი კაპიტალიც უგულავას ხელმოწერაა – ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან გადაცემული ექსკლუზივი, სხვა არანაირი კაპიტალი მათ ამ ე.წ. „საქმიანობაში“ ჩადებული არ აქვთ, მაგრამ დღეს ისინი ამ კაპიტალს ნახევარ მილიონზე ნაკლებად არ გაყიდიან. რაც მალე მორჩება ეს უტიფრობა, მით უკეთესი.

**— ხელშეკრულების შინაარსი ცნობილი გახდა. რას გეგმავთ საკრებულოში? თუ ამ წლის განმავლობაში „სითი პარკი“ გვძარცვავდა, როგორც თქვენ ამბობთ, როგორ ფიქრობთ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნა არ უნდა დააყენოთ?**

– 25 აგვისტოს დავაყენე საკითხი, რომ საკრებულომ, ისევე, როგორც მერიამ, მოიწვიოს „სითი პარკის“ ხელმძღვანელობა. ჩვენს კითხვებს უნდა უპასუხონ. სისხლის სამართლის საქმის მზადების თაობაზე მე არაფერი გამიგია. პრინციპში, ამაზე მეტი სისხლის სამართლის საქმე რა გინდათ – გიგი უგულავას ერთ-ერთ საქმედ „სითი პარკის“ საკითხს მოედავებიან.

დიანა ლიპარტელიანი

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ნიკიტა მარშუნოკი: „კაზანტიპი“ საქართველოში მომავალ წელსაც გაგრძელდება“




„კაზანტიპის“ თვითაღიარებული რესპუბლიკის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსი ნინო სტურუა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე „კაზანტიპის“ პრეზიდენტის ნიკიტა მარშუნოკის განცხადებას აქვეყნებს:

„კაზანტიპი“ საქართველოში მომავალ წელსაც გაგრძელდება, თუ იქნება ამის ნება და მიწას არენდით გადმოგვცემენ! რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, მე წლევანდელი პროექტით კმაყოფილი ვარ! ჯერ ერთი, ძალიან შეგვიყვარდა საქართველო და ქართველები, ყველა ჩამოსული სტუმარი აღნიშნავს, რომ ასეთი გარემო არც ერთი „კაზანტიპის“ დროს არ დახვედრიათ და რაც ყველაზე მთავარია! თავად ქართველებმა დაინახეს პირადად, რომ ყველა ბრალდება, რაც ჩვენ მიმართ გაისმოდა, მხოლოდ ცილისწამებაა და მეტი არაფერი!“, – აცხადებს მარშუნოკი. (რეპორტიორი)

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „რატომ არ არქმევს მსოფლიო თანამეგობრობა ყველაფერს თავის სახელს?“




საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ამჟამად გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს. ინფორმაციას სააკაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს.

სააკაშვილის თქმით, ის, რასაც რუსები აკეთებენ, არ შეიძლება, სეპარატისტული კონფლიქტი ეწოდოს, ამას შეჭრა და ომი ჰქვია. ექსპრეზიდენტი მსოფლიოს მოუწოდებს, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას.

„ამჟამად ჩემს უკრაინელ ძმებსა და დებს კიევში გამოცდილებას ვუზიარებ იმასთან დაკავშირებით, რაც ქართველებმა კარგად იციან: ასობით ტანკი, ჯავშანტექნიკა და „გრადის“ სისტემა კვეთს საერთაშორისო საზღვარს, სოფლებსა და ქალაქებს უტევს და მსოფლიოს არ შეუძლია, გადაწყვიტოს, რა უწოდოს ამას.

რატომ არ არქმევს მსოფლიო თანამეგობრობა ყველაფერს თავის სახელს? ვფიქრობ, ამჟამად ჩვენ რეგიონში გაცილებით მნიშვნელოვანი ამბები ხდება, ვიდრე ვინმეს თავზე გაყინული წყლის გადასხმაა. უკრაინის, საქართველოსა და რუსეთის ყველა მეზობლის ბედი დონეცკში, ლუგანსკსა და მარიუპოლში წყდება. დიდება უკრაინას!“, – წერს სააკაშვილი. (რეპორტიორი)



# როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკაზე?

**უკრაინა-რუსეთის ომი სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს და სავარაუდოდ, ბრძოლის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდება. ორივე ქვეყანა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. როგორ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე ეს ომი, თუკი ის დროში გაიწელა?**

**„ალიას“ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, დემურ გიორხელიძე ესაუბრა:**

**— ბატონო დემურ, უკრაინიდან და რუსეთიდან პირველადი მოხმარების უამრავი პროდუქცია შემოდის, ჩვენც გაგვაქვს გარკვეული სახის პროდუქცია ამ ქვეყნებში. რას უნდა ველოდეთ ახლო მომავალში, როგორ აისახება ეს ჩვენს ეკონომიკაზე?**

– თქმა იმისა, რომ ჩვენი არსებობა დამოკიდებულია უკრაინა-რუსეთთან სავაჭრო მდგომარეობაზე, სწორი არ იქნება. საქმე ის არის, რომ ჩვენი ეკონომიკა საშინლად დაზარალებულია, ჩვენ დავკარგეთ და დავანგრიეთ, არაეფექტურად ვმართავთ, რაც გაგვაჩნია. ყველა დანაკარგი უკვე გაწეული გვაქვს, სულს ღაფავს ეს ეკონომიკა და ამიტომ რამე პრობლემაც რომ შეექმნას, რაღაც განსაკუთრებული არ იქნება. წარმოიდგინეთ, კომაში მყოფ ადამიანს კიდევ უფრო ცუდად ვერ ამყოფებ, ხომ ასეა? ასეა დღეს ქართული ეკონომიკა. უკრაინაში დღეს უმძიმესი კრიზისული ვითარებაა. როგორც ჩანს, ძალიან მძიმე შედეგს უნდა ველოდოთ. აშკარაა, რომ უკრაინის ხელისუფლების მხრიდან ფედერალიზაციაზე საუბარიც კი ვერ გააჩერებს დაძაბულობის ესკალაციას, როგორც ჩანს, ფართომასშტაბიანი გადაწყვეტილებები იქნება მისაღები. უკრაინაში ეკონომიკა, უბრალოდ, დანგრეულია და სხვა ქვეყნისთვის რაიმეს მიწოდებას ვერ შეძლებს. ამ ყველაფრის აღდგენას სერიოზული დრო და ფინანსები დასჭირდება, რომელიც უკრაინას კარგა ხანს ვერ ექნება. უმოკლეს ხანში ჩვენ უკრაინიდან რაიმეს შეუფერხებელ მოწოდებას, ან ჩვენგან იქით ექსპორტს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ის ჩვენს მეგობარ ქვეყნად უნდა დარჩეს ნებისმიერ შემთხვევაში, კარგად გვესმის, იქ რა ხდება, მაგრამ ეკონომიკა ბევრს ითხოვს და ჩვენი ხელისუფლება ვალდებულია, ახლო მომავალში, მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, ალტერნატიული გზები ეძიოს.

**— რა გზით შეიძლება უკრაინიდან იმპორტის ჩანაცვლება?**

– რაც ჩვენ გვჭირდება, თუ უკრაინიდან არ შემოვა, სხვა ქვეყნებიდან შემოვიტანთ, ამიტომ დიდი ზარალი არ გვექნება. რაც შეეხება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას, თუ ევროკავშირის მოთხოვნა იქნება ოფიციალური და სანქციებს საქართველოც შეუერთდა, იქნება ემბარგო. ევროკავშირის ეს მოთხოვნა კორექტული ვერ იქნება, მაგრამ ჩვენ იძულებული ვიქნებით, პარტნიორობის თვალსაზრისით გადავდგათ ეს ნაბიჯი და მაშინ რუსეთისგან უნდა ველოდოთ იმას, რომ ემბარგო კვლავ აღდგეს.

**— ამ შემთხვევაში რა გველოდება?**

– სანქციებში მონაწილეობას რუსები უპასუხოდ არ დატოვებენ და ეს საქართველოზეც ავტომატურად აისახება. ასე რომ, სიტუაცია საკმაოდ რთულია. წლების განმავლობაში ჩვენ მივეჩვიეთ აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობის არქონას და ამდენად, ამ მწირი ეკონომიკისთვის მისი ჩანაცვლებაც პრობლემა არ არის, მაგრამ ჩანაცვლება შემოტანის თვალსაზრისით, თორემ გატანის თვალსაზრისით ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ ალტერნატიულ ბაზრებს.

**— რატომ ვერ ვახერხებთ ამას?**

– იმიტომ, რომ უხარისხო პროდუქცია გვაქვს, თანაც ძალიან მწირი და ამდენად, სადმე ჩვენი პროდუქციის სწრაფი რეალიზაცია შეუძლებელია. ნახეთ, რა ხდება ევროპაში, უამრავი ფერმერი პროტესტს გამოთქვამს და ქუჩაში არიგებენ ხილსა და ბოსტნეულს, რომელიც რუსეთის სანქციების გამო რუსეთში ველარ გადის. ასე რომ, ძალიან აჭრილია სიტუაცია, მთავარი მაინც ეკონომიკური საკითხი არ არის, მაინც პოლიტიკურია მთავარი. ეს პოლიტიკური საკითხი კი სწრაფად ვერ გადაწყდება. აშკარაა, რომ უკრაინის კრიზისის ფონზე ევროკავშირი წინა პლანზე გამოდის, ამერიკელებმა ცოტა უკან დაიხიეს და ერაყზე არიან უფრო კონცენტრირებულები. უელსის ნატოს სამიტი მისცემს ამ საკითხს, ალბათ, რაღაც მიმართულებას, მაგრამ რუსეთის სანქციებმა, პირველ რიგში, ევროკავშირი შეაწუხა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ნატოს სტაბილურობის საკითხი.

**— უკრაინიდან კონკრეტულად ისეთ რამეს ვიღებთ, რომ ალტერნატიული მომწოდებლის ძებნა ახლავე გახდეს საჭირო?**

– არც ხორბალზე, არც სხვა საწარმოო, სასურსათო პროდუქციაზე იმდენად არ ვართ ჩამოკიდებული, რომ ალტერნატივა ვერ იპოვოს მთავრობამ.

შეუძლებელია, დღეს ღია ეკონომიკის პირობებში რაიმე პროდუქტის ყიდვა გინდოდეს და ვერ მოახერხო, რამდენმა ქვეყანამაც არ უნდა გამოგიცხადოს ბოიკოტი, ყოველთვის მოიძებნება რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ პროდუქციას მოგაწოდებენ. იმპორტზე ჩამოკიდებული ქვეყანა ვართ და შესაძლოა, ფასებზე იქონიოს გავლენა, მაგრამ მაინც მოვახერხებთ ყიდვას. ამ მხრივ საშიშროება მოსახლეობისთვის დეფიციტის თვალსაზრისით არ გვექნება.

**— რუსეთიდან რასაც ვიღებთ, ამას თუ შეექმნება საფრთხე?**

– რასაც ვიღებთ, არა, მაგრამ ჩვენი ფერმერები და ბიზნესმენები ვერ გაიტანენ პროდუქციას, თუ ჩვენ სანქციებს მივუერთდებით. ის შემოსავლებიც დაიკარგება, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. თუმცა ჯერ კიდევ არ დგას ხისტად საკითხი სანქციების მიერთებაზე, რადგან მწირი რამ შეგვაქვს რუსეთში.

**— რუსული რუბლი დევალვაციას განიცდის, ეს როგორმე აისახება ჩვენზე?**

– რუბლის დევალვაცია რუსებს ისედაც სჭირდებათ, მაღალი პროფესიული დონეა ეკონომიკურ ბლოკში და რაც შესაძლებელი იქნება, საფრთხეს თავიდან აიცილებენ. რუსეთის ურთიერთობა დასავლეთთან როგორ განვითარდება, ეს იქნება მთავარი საკითხი ამ სფეროშიც. არ იქნება მარტივი პროცესები და მთავარი მოთამაშეები მაქსიმუმზე ითამაშებენ, ვის რა რესურსი ექნება ამ დაპირისპირებაში.

**— „ნაციონალებმა“ არაერთხელ წამოაძახეს ხელისუფლებას, უკრაინას რატომ არ ეხმარებით ფინანსურადო. საამისო სახსრები გაგვაჩნია?**

– არანაირი დახმარების შესაძლებლობა არ გვაქვს, მხოლოდ სიმბოლურ დახმარებას თუ გავუწევთ, როგორიცაა ექიმები, სპეციალისტები, მაგრამ მატერიალური დახმარება არ შეგვიძლია.

**— ბევრი თანამემამულეა უკრაინაში, იქიდან ინახავენ ოჯახებს. მათი საქმე როგორ იქნება?**

– მთავარი სამუშაო ადგილები აღმოსავლეთ უკრაინაში იყო, ჯერ მხოლოდ რუსეთის შეკვეთები სამხედრო სფეროში 16 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რუსები ამას აკურატულად იხდიდნენ, ბუნებრივია, ომის პირობებში შეჩერებულია ბევრი საწარმო და ცხადია, აქეთ ოჯახებს ველარ დაეხმარებიან, რადგან ჩვენს მოქალაქეებსაც პრობლემები გაუჩნდებათ. კიევში ნაკლები პრობლემებია, ხარკოვსა და ოდესაში ჯერ პრობლემები არ ჩანს.

**„მთავარი სამუშაო ადგილები აღმოსავლეთ უკრაინაში იყო, ჯერ მხოლოდ რუსეთის შეკვეთები სამხედრო სფეროში 16 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რუსები ამას აკურატულად იხდიდნენ, ბუნებრივია, ომის პირობებში შეჩერებულია ბევრი საწარმო და, ცხადია, აქეთ ოჯახებს ველარ დაეხმარებიან, რადგან ჩვენს მოქალაქეებსაც პრობლემები გაუჩნდებათ“**

**„შეუძლებელია დღეს ღია ეკონომიკის პირობებში რაიმე პროდუქტის ყიდვა გინდოდეს და ვერ მოახერხო, რამდენმა ქვეყანამაც არ უნდა გამოგიცხადოს ბოიკოტი, ყოველთვის მოიძებნება რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ პროდუქციას მოგაწოდებენ. იმპორტზე ჩამოკიდებული ქვეყანა ვართ და შესაძლოა, ფასებზე იქონიოს გავლენა, მაგრამ მაინც მოვახერხებთ ყიდვას. ამ მხრივ, საშიშროება მოსახლეობისთვის დეფიციტის თვალსაზრისით არ გვექნება“**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დელისის“ მეტროსთან რამდენიმე გარემოვაჭრე დააჯარიმეს




„დელისის“ მეტროსთან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე გარემოვაჭრე დააჯარიმეს სამართალდამცავებმა გარემოვაჭრეებს პროდუქტები ჩამოართვეს და 20-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს.

როგორც სამართალდამცავები განმარტავენ, აღნიშნული სანქცია გარემოვაჭრეებს კანონის დარღვევის გამო დაეკისრათ, რადგან თბილისში გარევაჭრობა აკრძალულია. ადგილზე მცირე შელაპარაკება მოხდა. გარემოვაჭრეები საკუთარი პროდუქტების ჩამორთმევას აპროტესტებენ. ერთ-ერთი გარემოვაჭრის, მანანა ბახიას განცხადებით, მას გასაყიდად გამზადებული ატამი ჩამოართვეს. მისივე თქმით, ქუჩაში დგომა მძიმე სოციალური პირობების გამო უწევს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატრიარქი ამიერკავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარეს უმასპინძლებს




საქართველოს საპატრიარქოს ცნობით, 29 აგვისტოს თბილისს ორდღიანი ვიზიტით ამიერკავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარე შეიხ-ალ-უვ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადე ესტუმრება.

შუქურ ფაშა ზადეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მღვდელმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად დახვდება. საპატრიარქოში ამიერკავკასიის სულიერი ლიდერის პატივსაცემად მიღება გაიმართება. ფაშა ზადეს საქართველოში ვიზიტის მიზნები უცნობია.

ამიერკავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარე საქართველოში 2013 წლის იანვარში პატრიარქის 80 წლის საიუბილეო ღონისძიებებზე იმყოფებოდა. ამ მიზნით ფილარმონიაში გამართულ საიუბილეო კონცერტზე შუქურ ფაშა ზადემ პატრიარქი, კავკასიურ მუსლიმანთა სამმართველოს გადაწყვეტილებით, მეგობრობის სივრცეში, რელიგიებისა და ერებს შორის შეტანილი წვლილისთვის უმაღლესი ჯილდოთი – შეიხ ისლამის ორდენით დააჯილდოვა. (ფრონტნიუსი)



# ლოპოტას სპეცოპერაციაზე კომისიამ მუშაობა დაასრულა

## რა ახალი დეტალები გამოიკვეთა სკანდალურ საქმეში?

**ლოპოტას სპეცოპერაციის გამოსაძიებლად შექმნილმა საზოგადოებრივმა კომისიამ მუშაობა დაასრულა, დასკვნას კი სექტემბრის ბოლოს გაასაჯაროებენ.**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, კომისიის წევრი ვახტანგ მაისაია:**

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ეს კომისია იყო დეტალების დამდგენი. ჩვენ ვმუშაობდით იმაზე, რომ გაგვეანალიზებინა, რა მოხდა სინამდვილეში. ჩვენი მისია არ ყოფილა, რომ გამოგვეკვლია დამნაშავეები და ვიღაცისთვის ბრალი დაგვედო. კომისიამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში მოიძია უამრავი მასალა, დაიკითხა საკმაოდ ბევრი ადამიანი, ვისაც შემხებლობა ჰქონდა ამ ოპერაციასთან, მათ შორის ისინიც, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე მოუწია ამ პროცესებში მონაწილეობა, ასევე დაღუპული ადამიანების ოჯახის წევრები, ადგილობრივები, გატარდა უდიდესი სამუშაო და ამ მუშაობის პროცესში მოპოვებულ იქნა უნიკალური მასალები, მათ შორის დოკუმენტური.

**— რა მასალებზეა საუბარი?**

– მას შემდეგ, რაც ამ მასალებს გავეცანით, ჩემთვის პირადად უკვე გასაგებია, რა მოხდა, რა სცენარი გათამაშდა და რისთვის მოეწყო საერთოდ ეს ოპერაცია. მაგრამ ამ დეტალებს, ბუნებრივია, ვერ გავახმაურებ, ერთადერთი ის შემიძლია გითხრათ, რომ ის ვერსია, რომელიც ხელისუფლებამ თავის დროზე გააჟღერა, არის აბსოლუტური ტყუილი. აბსოლუტურად ახალი გამოძიება უნდა ჩატარდეს, რომ დადგინდეს ობიექტური სურათი, ასევე აუცილებელია, რომ გამოძიება ჩაატაროს არა იმ სტრუქტურამ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციაში, ვგულისხმობ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფს, არამედ ეს უნდა განახორციელოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ. ასევე, შემიძლია კიდევ გითხრათ ერთი დეტალი, თავის დროზე გახსოვთ, ალბათ, რომ დაღუპულ ადამიანებს მიაკერეს ტერორისტების იარლიყი და ეს არის აბსოლუტური ტყუილი, იმიტომ, რომ ყველანაირი მტკიცებულებებით, რომელსაც ჩვენ გავეცანით, არანაირი ტერორიზმის კვალი არ იკვეთება. ვგულისხმობ დაღუპულ ქისტებს, რომლებიც ამ სპეცოპერაციის დროს გარდაიცვალნენ. დანარჩენი დეტალები უკვე იქნება წარმოდგენილი სექტემბრის ბოლოს, როდესაც კომისია დადებს საბოლოო დასკვნას და ეს დასკვნა იქნება საჯარო. სწორედ იქ იქნება აღწერილი, რა მოხდა სინამდვილეში, შესაძლოა, ამ დასკვნის ერთი ნაწილი გასაიდუმლოებული იყოს, ვინაიდან გამოძიებას ხელი არ შეეშალოს, თუმცა რა მოხდა სინამდვილეში და რა სცენარი გათამაშდა, ამას აუცილებლად გაიგებს საზოგადოება.

გარდა ამისა, ყველა იმ მასალას, რომელიც ჩვენ შევაგროვეთ, ეს არის დოკუმენტური და ასევე ვიდეო და აუდიომასალები, გადავცემთ იმ ორგანოს, რომელმაც უნდა გამოიძიოს ეს სპეცოპერაცია.

**— ეს აუდიო და ვიდეომასალები, რას ასახავს? იყო საუბარი, რომ არსებობდა თათბირების ვიდეოჩანაწერები და, ასევე, უმაღლესი პირების სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. ამ მასალებს გულისხმობთ?**

– არის ვიდეომასალები, რომელიც სპეცოპერაციის დაგეგმარების ტაქტიკას ასახავს, ასევე არის ადგილზე გადაღებული ვიდეოფირები, თუმცა ხელმძღვანელი პირების სატელეფონო საუბრები ვიცი, რომ აქვს საგამოძიებო ორგანოებს, მაგრამ ეს ჩვენს ხელში არ მოხვედრილა.

**— ეს ვიდეომასალები გამოადგება საგამოძიებო ორგანოებს, როგორც მტკიცებულება?**

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მტკიცებულებაა, საკმარისია იმისთვის, რომ გამოძიება ბოლომდე იქნას მიყვანილი და საბოლოოდ გაირკვეს, რა მოხდა ე.წ. ლოპოტას სპეცოპერაციის დროს. ერთი რამ ცალსახად შემიძლია გითხრათ, მე, როგორც ამ დარგის სპეციალისტმა და ექსპერტმა, ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში და რა სცენარი გათამაშდა. მაგრამ ეს არის მხოლოდ ჩემი, ერთი ადამიანის მოსაზრება, ვიდრე არ ჩატარდება გამოძიება, ბუნებრივია, ვერავის დავადანაშაულებ მტკიცებით ფორმაში.



**— რაკი დეტალებზე საუბარი არ გსურთ, მაშინ ის ინფორმაციები დაგვიდასტურეთ, ან უარყავით, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში კულუარულად ვრცელდებოდა. მაგალითად, სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი თეიმურაზ გვარაძე აცხადებდა, რომ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები წიკლაური და ჩოხელი არ დაღუპულან იმ გარემოებაში, როგორც ამას ოფიციალურად აცხადებდნენ...**

– დიახ, ეს ინფორმაცია შემიძლია დავადასტურო, რომ ის ბიჭები არ გარდაცვლილან იმ გარემოებებში, რაც ჩვენ გვითხრა მაშინდელმა ხელისუფლებამ. არა მხოლოდ წიკლაური და ჩოხელი, არამედ დანარჩენი ბიჭებთან დაკავშირებითაც რა ინფორმაციაც მოგვაწოდა მაშინდელმა ხელისუფლებამ, არის მტკნარი სიცრუე, ეს შემიძლია დაგიდასტუროთ.

**— იყო კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც სოდ-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა დათა ახალაიამ გაახმაურა. ის ამბობდა, რომ ლოპოტას სპეცოპერაცია ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ და ეს გეგმა მის მოადგილეს, გია ლორთქიფანიძეს შეასრულებინა. ეს ინფორმაცია თუ არის ახლოს სიმართლესთან?**

– ინდიკაციები ამ ინფორმაციის სისწორისა ნამდვილად არსებობს, თქვენ გახსოვთ, ალბათ, რომ იჩქერიის რესპუბლიკამ ჩაატარა გამოძიება და მათ პირდაპირ დაადეს ხელი ვანო მერაბიშვილს და პირდაპირ დაადანაშაულეს, რომ რუსეთის სპეცსამსახურის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ეს საკმაოდ ყურადსაღები ინფორმაციაა, დაველოდოთ, დაიდება პასუხი და ყველასთვის ნათელი გახდება, რომელი ქვეყნების ინტერესები იყო ამ სპეცოპერაციაში.

**— თუკი ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება, რომ ობიექტურად გამოიძიონ ეს საქმე, ქვეყნის მაშინდელი უმაღლესი პირებიდან ვინ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში. თქვენ ხომ უკვე გაეცანით ზოგად სურათს?**

– როდესაც დასკვნა დაიდება, თქვენ თვითონ შეგიძლიათ და საზოგადოების ნებისმიერ წევრს, გამოიტანოთ დასკვნა, ვინ არის დამნაშავე. მე რომ ახლა დავასახელო კონკრეტული პირები, შესაძლოა, ეს იყოს ოფიციალური გამოძიებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი. ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია, ეს ინფორმაციაც ბევრი ინდიკაციის მატარებელია, რაც მოგაწოდეთ მერაბიშვილისა და რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

**— მას შემდეგ, რაც მასალებს გაეცანით, შეგიძლიათ თქვათ, რომ სპეცოპერაციის შესახებ საქმის კურსში იყო მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი და სხვა უმაღლესი პირები, ვინც პირდაპირი მნიშვნელობით არ მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციაში?**

– მიხეილ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო და ეს მან თავის გამოსვლაშიც არაერთხელ დაადასტურა. რაც შეეხება სხვა უმაღლეს პირებს, საქმის კურსში იყვნენ უშიშროებისა და ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი პირები. ახალი გვარები აუცილებლად გამოიკვეთება და აუცილებლად გაიზრდება მაღალჩინოსანთა წრე, რომელთაც მოუწევთ პასუხისგება ამ ოპერაციაზე. მე ვსაუბრობ უმაღლესი დონის ადამიანებზე და არა შემსრულებლებზე. დაღუპული ადამიანების არც ერთ ქმედებაში არ შეინიშნება რაიმე ტერორიზმის აქტის მცდელობა, შესაბამისად, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ უმაღლეს ეშელონებში მსხდომ მაშინდელ ლიდერებს. გარდა ამისა, ვფიქრობ, აუცილებელია საპარლამენტო კომისიის შექმნა და პარლამენტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, ეს იყო ძალიან დიდი ტრაგედია, ამ სპეცოპერაციის დროს დაიღუპა საქართველოს 10 მოქალაქე.

»» შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ერაყიდან ჩამოსულ იეზიდებს ქართველების იმედი აქვთ



ბოლო რამდენიმე თვეა, ერაყში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები იეზიდებს მასობრივად დევნიან, მამაკაცებს აწამებენ, ქალებს აუპატიურებენ, ობლად დარჩენილ ბავშვებს კი ისლამის მიღებას აიძულებენ.

38 წლის ერაყელი იეზიდი საბაჰი ფეხმძიმე მეუღლესა და სამ შვილთან ერთად თბილისში 2 კვირის წინ ჩამოვიდა. ის დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, დროებით თავშესაფარში ცხოვრობს, რომელიც ადგილობრივმა თემმა გამოუყო. საბაჰი ერაყიდან გაქცევის დეტალებს იხსენებს და ამბობს, რომ ერაყის ტერიტორიაზე შეჭრილი რადიკალების რიგებში როგორც არაბები, ასევე ევროპელი მუსლიმანები და ჩეჩნები იბრძვიან.

როგორც ერაყიდან დევნილები ამბობენ, აქ ჩამოსვლა იმის გამოც გადაწყვეტეს, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. თბილისის გარეუბანში მდებარე კერძო სახლში ახლა 20-მდე ადამიანი ცხოვრობს. ყველა მათგანმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თავშესაფრის მიღების მოთხოვნით უკვე მიმართა.

როგორც უწყების წარმომადგენელმა ირაკლი კოკაიამ განმარტა, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის გარკვეული პროცედურის ჩატარებაა საჭირო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ლტოლვილები ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ, როგორც დევნილი პირები.

საქართველოში იეზიდთა თემი კი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება ვიზების გაცემა-არგაცემის საკითხს გაგებით მოეკიდება და საჭიროების შემთხვევაში, ერაყიდან დევნილებს დახმარებას მომავალშიც გაუწევს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### ოკუპანტებმა საქართველოს კიდევ 4 მოქალაქე გაიტაცეს




რუსმა ოკუპანტებმა 3 მოქალაქე სოფელ ჯარიაშანის ტერიტორიაზე აიყვანეს, მეოთხე კი – სოფელ კირბალიდან. ოთხივე მათგანს სეპარატისტული რეჟიმი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ედავება, თუმცა თვითმხილველების განცხადებით, ოთხივე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსავალს იღებდა.

დაკავებულები წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილები. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





## 22, 24 და 26 წლის ბიჭები მოკლულები არიან — რა მოხდა ადიგენში



შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად ადასტურებს, რომ ადიგენის რაიონში სამი მამაკაცი იქნა მოკლული. ცხედრები სოფელ ყარათუბნის გზაზე ადგილობრივებმა იპოვეს. სამივე გარდაცვლილი ამ სოფლის მკვიდრია. წინასწარი ინფორმაციით, სამივე ცეცხლსასროლი იარაღიდან არის მოკლული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს, თუმცა შემთხვევის გამომწვევი მიზეზები ამ დროისთვის უცნობია. მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია. თუმცა საზარელი მკვლელობის მოტივი და ის, თუ რა მოხდა სოფელში, ჯერჯერობით ოფიციალურად უცნობია. (პირველი რადიო)

## ქართველი მებრძოლები ლუგანსკში



მამუკა მამულაშვილი, რომელიც უკრაინაში, საომარ ზონაში ქართველ მოხალისეთა დანაყოფს ხელმძღვანელობს, არ გამორიცხავს, რომ დანაყოფის შემადგენლობა გაიზარდოს. მამულაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე მოხალისეთა სიმცირის გამო მხოლოდ რამდენიმე ადგილზე ხდება საომარ მოქმედებებში ჩართვა, თუმცა რაოდენობის ზრდასთან ერთად ტერიტორიებიც გაიზრდება. მისივე განმარტებით, ადგილზე ძალიან დაძაბული მდგომარეობაა და რუსეთის არმია უკვე ოფიციალურად არის შესული უკრაინის ტერიტორიაზე.

„დღესდღეობით ძალიან დაძაბულობაა. რუსეთმა უკვე ოფიციალურად შემოიყვანა ჯარი უკრაინის ტერიტორიაზე. საკმაოდ ძლიერი შეტაკებებია. ჩვენი ქვედანაყოფი იმყოფება ლუგანსკთან ახლოს. იგეგმება ჩვენი ქვედანაყოფის გაზრდა. როგორც კი ქართულ ქვედანაყოფს მოხალისეების სტატუსს მისცემენ, აუცილებლად გაიზრდება რაოდენობა. გაკეთდება სამობილიზაციო შტაბი და აუცილებლად რამდენიმე ათასი კაცი ჩავა უკრაინის მხარდასაჭერად“, – განაცხადა მამუკა მამულაშვილმა.

მისივე თქმით, მაშინ როცა საქართველოს უჭირდა, უკრაინა გვერდით ედგა და ახლა ქართველების მოვალეობაა, დაეხმარონ მათ. მისივე თქმით, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მოხალისეთა ჯგუფის ჩამოყალიბება. „ეს არის მოხალისეთა ჯგუფი, შექმნილი ჩემ მიერ, რომელიც იდეოლოგიურად შეუერთდა უკრაინას და უწევს დახმარებას, ისევე როგორც მათ გაგვიწიეს დახმარება 90-იან წლებში და 2008 წელს“, – განაცხადა მამულაშვილმა (პირველი რადიო)

## კრემლმა უკრაინის ქალაქების დაბომბვა გადაწყვიტა



კრემლში საბოლოოდ გაიმარჯვა „ომის პარტიამ“ და იგეგმება უკრაინის ქალაქებზე ავიაიერიშების მიტანა. ამის შესახებ საკუთარ „ფეისბუკში“ მედიაპროდიუსერმა ვილნიუსიდან, დიმიტრი ჩერნიშუკმა დაწერა, რომელიც, თავის მხრივ, მოსკოვში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს ამ ინფორმაციას.

„მივიღე არადამამშვიდებელი ინფორმაცია რუსული წყაროებიდან. მათ გაგვაფრთხილეს, რომ პუტინის გეგმებში არის ავიადარტყმების მიყენება უკრაინის ქალაქებზე. მას მხოლოდ კბილებში მირტყმა გააჩერებს, რადგან კრემლში საბოლოოდ გაიმარჯვა „ომის პარტიამ“ როგოზინისა და მისნაირების ხელმძღვანელობით“, – წერს ჩერნიშუკი. ამის პარალელურად ცნობილი ხდება, რომ რუსეთის სამხედრო ავიაბაზებზე მოულოდნელი არაგეგმური სამხედრო წვრთნები დაიწყო. (პირველი რადიო)

## ზუგდიდში „მაკდონალდსისთვის“ ჭყონიას მიწას უფასოდ გადასცემენ?




ზუგდიდში ,,მაკდონალდსის“ აშენება იგეგმება. თუმცა სწრაფი კვების ობიექტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებული კომენტარებიდან ირკვევა, მიზეზი ადგილმდებარეობაა. ზუგდიდელები გუბერნიის სიახლოვეს „მაკდონალდსის“ მშენებლობას არ იწონებენ. ზოგი მათგანი ფიქრობს, რომ ამისთვის საუკეთესო ადგილი რკინიგზის სადგურია, ხოლო ზოგს თეატრის წინ სურს „მაკდონალდსის“ ხილვა. ზუგდიდელებს არ სურთ ქალაქის იერსახის დამახინჯება. ზუგდიდის მერიაში აცხადებენ, რომ სურთ გადაწყვეტილება ზუგდიდელებთან ერთად მიიღონ. მათი თქმით, კვირის ბოლოს შესაბამისი სამსახურები შეიკრიბებიან და მოხდება „ფეისბუკზე“ გამოთქმული მოსაზრებების შეჯამება-განხილვა.

ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატის ანი წითლიძის განცხადებით, ისინი არ არიან მშენებლობის წინააღმდეგ, თუმცა გუბერნიის მიმდებარე ტერიტორია არც მათთვისაა მისაღები, ,,ააშენონ რამე, მთავარია „კაზანტიპივით“ არ გამოუვიდეთ“, – ამბობს წითლიძე. დეპუტატი ადგილმდებარეობის გარდა, ხელისუფლების გარკვეულ ფინანსურ ინტერესებზე საუბრობს.

„ერთი, რომ „მაკდონალდსი“ აუცილებლად უნდა აშენდეს, მაგრამ აშენდეს ისეთ ადგილას, რომელიც მიმდებარე ტერიტორიების განვითარებას გამოიწვევს და არა გუბერნიის გვერდით, სადაც ისედაც გადატვირთულია. ის უნდა ჯდებოდეს ზუგდიდის განვითარების გეგმაში და მომავალში მისმა მდებარეობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქალაქის ურბანულ განვითარებას.

მეორე და მნიშვნელოვანი – ჩემი ინფორმაციით, „მაკდონალდსისთვის“ მიწა საკუთრებაში უნდა გადაეცეს ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, გადასცემს ჭყონიას. გაუგებარია, მიწა უფასოდ რატომ უნდა გადასცეს ზუგდიდმა ეკონომიკის სამინისტროს ან ჭყონიას? ნებისმიერმა ინვესტორმა კეთილი ინებოს და იყიდოს თუ რამის აშენება უნდა. მით უმეტეს ჭყონიამ, რომელსაც არ უჭირს, რა ფინანსური გარიგებები აქვს მას გუბერნატორთან? რადგან გუბერნატორის ასეთი დაჟინებული მოთხოვნა საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტაზე უკვე ეჭვს ბადებს. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ამ თემაზე, ზუგდიდი პატარა ქალაქია და არც ჩალითაა დახურული, სხვათა შორის“, – აცხადებს საკრებულოს დეპუტატი. (ნიუპოსტი)

## რატომ იჭრიან კასპელი წვევამდელები ვენებს



„როგორც კი გაიგებენ ახალგაზრდები, რომ ქსნის კოლონიაში უნდა წაიყვანონ, თავს არიდებენ მსახურებას. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ვენები გადაიჭრა. უნდოდა წასვლა ჯარში და მოვალეობის შესრულება, მაგრამ, როგორც კი გაიგო, რომ ქსანში გაანაწილეს, გავიდა გარეთ და ვენები გადაისერა. სხვებიც მასიურად არიდებენ თავს“, – აცხადებს კასპის გამგეობის სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსი თემურ შაქარაშვილი.

საქმე ეხება 2014 წლის საშემოდგომო გაწვევას, რომლის მოთხოვნა გამგეობას უკვე მიუვიდა.

„ყოველ გაწვევაზე ძალიან დიდი გეგმა მოგვდის, ეს ძირითადად ქსნის კოლონიის ხარჯზე ხდება. ქსანი კი ჩვენ არ გვეკუთვნის, მცხეთას ეკუთვნის და იქ წვევამდელების გამოძახებას სულ ჩვენ რატომ გვავალებენ?“ – ამბობს შაქარაშვილი.

როგორც გაირკვა, სასჯელაღსრულების სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს ქსნის კოლონია კასპის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ჰგონია. ამის შესახებ დეპარტამენტი გამგეობის სამხედრო აღრიცხვის სამსახურმა არაერთხელ გააფრთხილა, მიუხედავად ამისა, 2014 წლის საშემოდგომო გაწვევისთვის ქსნის კოლონიის დასაცავად ე.წ. „ნადზორების“ შეკრება კვლავ კასპს დაევალა. (ნიუპოსტი)

## ირაკლი ალასანია სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სამუშაო ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. ის ფრანგ კოლეგასთან ჟან-ივ ლე დრიანთან საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროში გამართავს შეხვედრას.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, მინისტრები სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის დეტალებს განიხილავენ. საუბარი შეეხება ავღანეთსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე მისიებს, ასევე უელსში დაგეგმილ ნატოს სამიტს.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია შეხვედრა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიულ საკითხთა დირექტორთან ფილიპ ერერასთან.

საფრანგეთში სამუშაო ვიზიტით თავდაცვის მინისტრთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და მინისტრის მოადგილე ვარლამ ავალიანი იმყოფებიან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი საფრანგეთის რესპუბლიკაში 30 აგვისტოს დასრულდება. (ნიუპოსტი)

## 15 ათასი რუსი სამხედრო დონბასში საბრძოლველად იძულებით არის გაგზავნილი



ამის შესახებ „რუსი სამხედროების დედათა კავშირის“ ხელმძღვანელმა ვალენტინა მელნიკოვამ განაცხადა. მან აღნიშნა, რომ რუსეთში კონტრაქტით მომსახურე ჯარისკაცებს აიძულებენ, ხელი მოაწერონ დამატებით „კონტრაქტს“ რომელიც ლუგანსკში საბრძოლველად წასვლას გულისხმობს.

მისი თქმით, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც როსტოვის ოლქის ქალაქ გუკოვში მსახურობს, დედას გაუგზავნა წერილი, სადაც ნათქვამია, რომ პოლკოვნიკმა მედინსკიმ შეკრიბა ჯარისკაცები და კონტრაქტზე ხელის მოწერა აიძულა.

„ჩვენ ლუგანსკში გაგგზავნით. არ მოწერთ და მე მოვაწერ თქვენს მაგივრად“, – გადმოსცა პოლკოვნიკის სიტყვები. (ნიუპოსტი)

## ხოდორკოვსკი, უკრაინის გამო, რუსებს ქუჩის აქციებისკენ მოუწოდებს



რუსი ბიზნესმენი და ყოფილი პოლიტპატიმარი მიხაელ ხოდორკოვსკი მოუწოდებს რუსებს გამოვიდნენ ქუჩაში და გააპროტესტონ ომი, რომელსაც რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აწარმოებს.

„ჩვენ ვომობთ უკრაინასთან, ეს ნამდვილად ასეა, ვაგზავნით იქ ჯარისკაცებს და ტექნიკას, უკრაინელები იბრძვიან კარგად, მაგრამ უკან იხევენ, ძალები, რა თქმა უნდა, არათანაბარია. ჩვენი ხელისუფლება კი მუდმივად ცრუობს. როგორც ცრუობდა 80-იან წლებში ავღანეთის შესახებ, 90-იანებში ჩეჩნეთის შესახებ. ახლა ცრუობს უკრაინის შესახებ. ჩვენ კი ვმარხავთ ჩვენს გუშინდელ თანამებრძოლებს, მეგობრებსა და ახლობლებს, რომლებიც ახლა ორივე მხარეს არიან, რომლებიც ხოცავენ ერთმანეთს არა იმიტომ, რომ მათ თავად სურს, არამედ იმიტომ, რომ დაბერებულ ძალაუფლებას ყოველთვის სჭირდება სისხლი, ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით და ამიტომაც იტყუება ხელისუფლება“.

ხოდორკოვსკი მიიჩნევს, რომ რუსებს შეუძლიათ, შეაჩერონ ომი.

„საკმარისია უბრალოდ გამოვიდეთ ქუჩაში, დავემუქროთ გაფიცვით, ხელისუფლება მაშინვე დანებდება, ისინი მშიშრები არიან, მაგრამ არა, ჩვენ ვაგრძელებთ თავის მოჩვენებას, რომ ხელისუფლების გვჯერა და ვტირით დაკრძალვებზე. ასე რომ, მე გაჩუმება მეტი აღარ შემიძლია და არ გავჩუმდები“. – წერს ხოდორკოვსკი. (ნიუპოსტი)



აფთიაქში შესული ჭიჭიკია ხუმრობის ხასიათზე დადგა:

– გოგონი, პრეზერვატივი თუ გაქვს?

– დიახ, ბატონო.

– მოდი, მომაზომე ერთი...

*****

შეფს ახალი მდივანი ჰყავს. პირველივე დღეს მდივანი შეფის ცოლმა იხმო:

– დიდი იმედი მაქვს, თქვენც ისევე მალე არ დაორსულდებით, როგორც თქვენი წინამორბედი!

– და ვინ იყო ჩემი წინამორბედი?

– მე!..

*****

– სამწუხაროდ, ცოფის ნიშნები აღმოგაჩნდათ, – ეუბნება ექიმი მეგრელს

– ხოხ, მართლა?

– დიახ, მართლა!

მეგრელმა ფურცელი აიღო და წერა დაიწყო...

– ანდერძს წერთ? – ექიმი ეკითხება, თუმცა მეგრელი ხმას არ სცემს – გამწარებული წერს და წერს.

– თუ ანდერძს წერთ, ნუ წვალობთ, არ მოკვდებით!

– მაცადე, კაცო, ხომ მითხარი, ცოფიანი ხარო?

– დიახ, გითხარით.

– ჰოდა, ანდერძს კი არა, იმათ სიას ვწერ, ვის უნდა ვუკბინო!..

*****




გურული და მეგრელი ორმოში ჩაცვივდნენ.

გველი აყვირდა:

– მიშველეთ, ხალხო, გადამარჩინეთ ვინმემ!!!

*****

გურული ქალი პირველ ღამეს ქმარს ეუბნება:

– ტიტუუუუ!!! რაცხა ძალიან გლახად ვარ, მარა არ გაჩერდე!!!

*****

ქართულის მასწავლებელი გაკვეთილზე:

– მე მშია, შენ გშია, მას შია... რა დროა, ვინ მიპასუხებს?

გურული:

– ეეჰ, მასტავლებელო, გლახა დროა, გლახა, მარა უნდა გუუძლოთ!..

*****

კოტეს ცოლი ეჩხუბება:

– შე უპატრონო, რომ მოეთრევი ყოველღამე გახეთქილი მთვრალი, დაწვები, ტრუსებს გამხდი და იძინებ, რეზინი კი არ მიჭერს?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## სექსი სიცხეში ჯანმრთელობისთვის სახიფათოა?



უმჯობესია, ზაფხულში გაგრილებაზე უფრო მეტად იზრუნოთ, თუნდაც, ყირაზე გადახვიდეთ, მაგრამ სექსუალური თავგადასავლები კი დროებით დაივიწყოთ.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთია მედიკოსების რჩევა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიცხეში სექსი არც თუ ისე უსაფრთხოა. კერძოდ, ხორციელ ტკბობას, შესაძლოა, არტერიული წნევის მნიშვნელოვნად მომატება და უფრო მეტიც – ინსულტის ან ინფარქტის განვითარება მოჰყვეს.

სპეციალისტები კატეგორიულად არ ურჩევენ ცხელ დღეებში სექსის მორევში გადაშვებას ჰიპერტონიკებს, რომლებსაც ტემპერატურის მატების გადატანა ისედაც ძალიან უჭირთ.

იმ შემთხვევაში, თუკი უარის თქმა მაინც არ გამოდის, მედიკოსების რჩევა ასეთია: რაც შეიძლება ხშირად უნდა მიიღოთ გრილი შხაპი, რათა ორგანიზმი გადახურებისგან და შემდგომი პრობლემებისგან დაიცვათ.

*myjane.ru*

## არმატურამ მშენებლის მთელ სხეულში გაიარა




თუკი შეიძლება არსებობდეს ძალიან უიღბლო ადამიანი, რომლის აღსასრულის მიზეზი, მაგალითად, ერთი ყლუპი წყალი გახდება, ვითომ, რატომ არ შეიძლება არსებობდეს ძალიან იღბლიანი ადამიანიც, რომელსაც მთელ სხეულს არმატურა დაუფლეთს, მაგრამ მაინც გადარჩება?

სიმართლე გითხრათ, დასაბუთების გარეშე ამ ძალიან უცნაური ამბის დაჯერება ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ აგერ არის ფოტო, რომელიც მართალია, ძალიან რთული შესახედია, მაგრამ ფაქტი სახეზეა – 43 წლის ჩინელი მშენებლის ლიუ ცზიანის მთელ სხეულში არმატურამ გაიარა, თუმცა სიკვდილს ის სასწაულებრივად გადაურჩა.



როგორც ირკვევა, ინციდენტი პროვინცია სიჩუანში მოხდა – მშენებელი მეორე სართულიდან გადმოვარდა და არმატურას მარჯვენა ფერდით დაეცა, რომელმაც მთელი სხეული გაიარა და თავი კისრის მიდამოში გამოყო.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ ჩინელმა მშენებელმა კომენტარი ინციდენტიდან რამდენიმე საათში გააკეთა.

– თავიდან ვერაფერს მივხვდი და ისიც კი ვიფიქრე, რომ საშიში არაფერი მომხდარა, თუმცა მალევე აღმოვაჩინე, რომ განძრევა აღარ შემეძლო და ტკივილიც გაუსაძლისი მქონდა, – ასე იხსენებს შემაშფოთებელ ამბავს იღბლიანი ჩინელი.

ექიმების თქმით, პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა რეაბილიტაციისთვის რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება.

*fakt.pl*

## ძებნაშია ორი... მონაზონი



უკვე ორი კვირაა, რაც საფრანგეთის პოლიცია უშედეგოდ დაეძებს ორ მონაზონს, რომლებიც მონასტრიდან მას შემდეგ გაიქცნენ, რაც შეიტყვეს, რომ წინამძღვარი მათ მოხუცებულთა თავშესაფარში გადაყვანას აპირებდა.

საინტერესოა, რომ 86 წლის მარი-დანიელი და 82 წლის დეინტ-დენისი როკერბრიუნ-კაპმარტენის მონასტერში 50 წლის მანძილზე მსახურობდნენ, თუმცა სოლიდურ ასაკში შესვლამ წინამძღვარს მათთან მიმართებაში არასასიამოვნო გეგმები მიაღებინა და 250 კილომეტრის მოშორებით, მთაში განთავსებულ თავშესაფარში გადაყვანა გადააწყვეტინა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ძებნაში მყოფ მონაზვნებთან ერთად გაქცევას მათი სულიერი და, 89 წლის მორის-მარიც აპირებდა, თუმცა მოტეხილი ფეხის გამო გადაწყვეტილება ვერ აისრულა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა ადამიანების დიდ ნაწილს ავიწყდება, რომ დადგება დრო, როცა სიბერე მის კარზეც აუცილებლად დააკაკუნებს და საინტერესოა, ნეტავ, რას მოიმოქმედებენ, როცა მათაც მიტოვებას დაუპირებენ?!

*telegraph.co.uk*

## მოზარდმა შეძლო ის, რასაც მეცნიერები 150 წელი ვერ ახერხებდნენ



არასტანდარტული აზროვნების წყალობით, ვუნდერკინდებს შეუძლიათ ისეთი რამ მოიმოქმედონ, რაც ჩვეულებრივი გონებისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სწორედ ვუნდერკინდი შეგვიძლია ვუწოდოთ 10 წლის ანდრეი ხლოპინს კრასნოდარის მხრიდან, რომელმაც ე.წ. „ვერცხლოვანი ღრუბლების“, იმავე „მანათობელი ღრუბლების“ ფენომენი ამოხსნა.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „ვერცხლოვანი ღრუბლები“ მეცნიერებისთვის მთელი 150 წლის მანძილზე დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა, მოზარდი კი მიხვდა, რომ დიდ სიმაღლეზე მთელი სინოტივე ყინულის კრისტალებად იქცევა და ნათებაც სწორედ ამგვარად წარმოიქმნება.




ასეთი სამეცნიერო ჰიპოთეზის წამოყენებისთვის, ანდრეი ხლოპინი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა.

ასევე გაიბრწყინა თავისი გამოგონებით 16 წლის ანდრეი ხოდურსკიმ პოლტავიდან, რომელმაც ავტომობილების მაშუქების უნიკალური სისტემა შეიმუშავა. მისი გამოგონებით უკვე ინტელექტუალური შესაძლებლობების მსოფლიო ორგანიზაციაც დაინტერესდა, თავად ხოდურკის ფანტაზიის ნაყოფის აღწერილობა კი ასეთია: განათების სისტემა გზის 2,5-ჯერ მეტ ფართობს ანათებს, არ მოქმედებს შემხვედრი მიმართულებიდან მომავალი მძღოლის მხედველობაზე, შესაძლებელია მისი ნებისმიერი მარკის მანქანაზე გამოყენება და ასე შემდეგ.

დასასრულს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტელექტი და შემოქმედებითი შესაძლებლობები მთავარი ეროვნული სიმდიდრეა, რაც შესანიშნავად ესმით იაპონელებს, რომლებიც ვუნდერკინდების განათლებაზე უზარმაზარ თანხებს არ იშურებენ. ისრაელში არსებობს სპეციალურად გამორჩეული ბავშვებისთვის შემუშავებული განათლების სისტემა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლო გახლავთ. უდიდეს სახსრებს გამოყოფს ყოველწლიურად მოზარდებისთვის ამერიკაც, რაც შეეხება საქართველოს... ეეჰ...

*abc-people.com*

## ცივი ჩაი ძალიან საშიშ სასმელად აღიარეს



საუბარია ცივ ჩაიზე, რომელიც ბოთლებშია ჩამოსხმული და რომელსაც სპეციალისტებმა ჯანმრთელობისთვის სახიფათო სასმელი უწოდეს.

საქმე ისაა, რომ საკმაოდ პოპულარულ სასმელში დიდი რაოდენობით ოქსალატი, ქიმიური ნივთიერება აღმოაჩინეს, რომელიც თირკმლებში ქვების ფორმირებას იწვევს.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ ოქსლატს ცხელი ჩაიც შეიცავს, თუმცა ის ნაკლებად საშიშია.

განსაკუთრებით არ არის რეკომენდებული ცივი ჩაის მიღება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც თირკმლების პრობლემები ისედაც აწუხებთ, რაც შეეხება დანარჩენებს, სპეციალისტები ურჩევენ, რომ აუტანელ სიცხესთან გასამკლავებლად არჩევანი ჩვეულებრივ სასმელ წყალზე შეაჩერონ, თუ არ სურთ, რომ სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ.

*top.rbc.ru*

## რეგულარულ სირბილს ცელულიტი და გულის შეტევები მოჰყვება?



სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერება ყველაფერს თავდაყირა აყენებს და რაც უახლოეს წარსულში ძალიან სასარგებლოდ მიიჩნეოდა, ახლა თურმე, მავნებელია, თანაც საფრთხეს სიცოცხლესაც კი უქმნის.

ბრიტანელი მეცნიერების განმარტებით, სირბილით ვარჯიში პოპულარული გასული საუკუნის 70-იან წლებში გახდა და დღეს უკვე ხშირად, ჯანმრთელობის რიგ საკითხებში პანაცეად განიხილება.

– ხშირად სიბილს გულის ზომების შემცირება შეუძლია, რასაც, რაღა თქმა უნდა, დადებითი შედეგები ვერაფრით მოჰყვება, – მიიჩნევენ ნისლიან ალბიონზე.

ბრიტანელების აზრით, სირბილი ასევე იწვევს ტრავმებს მოძრაობების მუდმივი გამეორების გამო. გარდა ამისა, გრძელი დისტანციების დაფარვა ხარჯავს ორგანიზმის მარაგს და კუნთოვანი უჯრედების შლას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ცხიმების დაგროვებით და საბოლოო ჯამში, ცელულიტით მთავრდება.

მოკლედ, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, ზუსტად ასეთ სიტუაციაში ვართ აღმოჩენილები...

*medicine.newsru.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. გზების გადაკვეთა
2. კონან დოილი. „... ძაღლი“
3. მოჭადრაკე ნანა ...
4. ... მარაბდელი
5. ვეტერინარი
6. სამშენებლო მასალა
7. თევზის ჯიში
8. მისი დედაქალაქია ტირანა
9. კარგი ამინდი
10. ყვავილი
11. პატარა მტაცებელი ცხოველი
12. მსახიობი ჯულია ...
13. ყაჩაღი
14. იტალ. გმირი ჯუზეპე ...
15. ლითონი
16. სტალინის დედა
17. პოეტი ... ცვეტაევა
18. ბაყაყის ხმიანობა
19. ... ჩიბურდანიძე
20. პოეტი ლადო ...
21. მოსაპირკეთებელი ქვა
22. თეატრალური ფიცარნაგი
23. სიმდიდრე, ...-დიდება
24. ჯუჯა კამეჩი
25. რუსი გოლიათი ილია ...
26. მსახიობი მეთ ...
27. მომღერალი ... სოხაძე
28. ხურდის შესაგროვებელი ნივთი
29. ძვირფასი ქვა
30. ... და ტირილი მეგობრები არიან
31. „შერეკილები“ ექიმი ... კუჭუხიძე
32. ნარკოტიკის შემცველი მცენარე
33. ფრანგული ავტომობილი
34. მსახიობი ... აფლეკი
35. მსახიობი ... ბესინჯერი
36. პურის კიდე
37. 1000
38. მდინარე ესპანეთში
39. მწვანილი
40. პოლიტიკოსი ... ხიდაშელი
41. კაზინოს თანამშრომელი
42. ამერიკელი მომღერალი ქალი
43. მთამსვლელი
44. გულსაკიდი
45. ოპერის თეატრი ... სკალა
46. ნახ. კუნძული კანადაში
47. მსახიობი ... მონტანი
48. საღებავი, ჟანგმიწა
49. ყაიმი
50. თეატრის კოლექტივი
51. მსახიობი ... ჰაიეკი
52. ხის წვის ნარჩენი
53. ამ შენობაზე ემაისს აღმართეს დროშა
54. მსახიობი ... დიზელი
55. შიშველი სხეულის მხატვრობაში
56. სრუტეები ბოსფორი და ...
57. მსახიობი შირლი ...
58. ცისარტყელას ფერი
59. რეჟისორი ალფონსო ...
60. საგალობელი ...-მარია
61. წლოვანება
62. რაიმეზე ნომრების მინიჭება
63. დიეგო არმანდო ...
64. საუბრისთვის გამოყოფილი დრო
65. მდინარე პარიზში
66. სამხედრო ფორმის ქურთუკი
67. მხ/ფ „ბორნის ...“
68. ... ასე, ... ისე
69. ბულგარელი ნათელმხილველი
70. ტბა აშშ-ში
71. მხ/ფ „... ნაპირებზე“
72. მსახიობი ... უილისი
73. დურბინდი
74. მხატვარი კლოდ ...
75. ფრინველი თბილისის ლეგენდიდან
76. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
77. მსახიობი ჯეკ ...
78. მომღერალი ... გაგა
79. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
80. თავადის ტიტული ინდოეთში
81. „რიკი-ტიკი-ტავი“ კობრები ... და ნაგაინა
82. ქართ. საესტრადო ანსამბლი
83. ჩოგბურთელი ... უილიამსი
84. ჩეხოვი. „ძია ...“
85. რეჟისორი ელდარ ...
86. რეჟისორი ... დე ბონტი
87. აკრობატის სამოსი
88. მაღალი წიწვოვანი ხე
89. მინიბოულინგი
90. უმაღლესი ხარისხის ბროლი
91. სულხან-... ორბელიანი
92. ამიაკის ხსნარი: ... სპირტი
93. ... კისოტ ლამანჩელი
94. მწვანე ადგილი უდაბნოში
95. ენდრიუ ... ვებერი
96. სანელებელი
97. შტატი აშშ-ში
98. ჩეჩნეთის დედაქალაქი
99. მსახ. ... გოძიაშვილი
100. შეძახილი, რომელიც არქიმედემ აბაზანაში წარმოთქვა
101. მსახიობი ... რაიკინი
102. თეატრალ. განცხადება
103. „... მონტე-კრისტო“
104. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
105. ოთხიანი ნარდში
106. ... შეჯდა მწყერი ხესა
107. მსახიობი ან ...
108. წანაზარდი კაქ-ტუსზე
109. დანა, ჩანგალი, ...
110. მომღერალი ... სოტკილავა
111. მსახიობი ჯულიეტა ...
112. ბოსტნეული
113. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
114. ... არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი
115. უგუმბათო ტაძარი
116. ძვ. რომაელი ორატორი
117. ერთი მომღერლის პარტია
118. მოჭადრაკე ბორის ...
119. მდინარე აფრიკაში
120. ღვინო პოეტურად
121. რეჟისორი ჯონ ...
122. ყორღანი ვოლგოგრადთან
123. ... გათეთრდების ყორანი
124. მწერალი ... ტოლსტოი
125. რეჟისორი ... კუროსავა
126. ჯერომ კ. ჯერომი. „... ერთ ნავში, თუ არ ჩავთვლით ძაღლს“
127. დახვეული ნამცხვარი
128. მსახიობი ბრედ ...
129. მწყემსის ინსტრუმენტი
130. კაქტუსის სახეობა
131. ქალაქი ნიდერლანდში
132. ძვ. თბილისური მიმართვა
133. ბილიარდის ჯოხი
134. კუდიანი ამფიბია
135. ჯამის ფორმის სასმისი
136. ... კუზნაოვი
137. მწერალი ალბერტო ...
138. ძლიერნი ... სოფლისანი

პასუხები: 1. გზაჯვარედინი; 2. ბასკერვილების; 3. ალექსანდრია; 4. არსენა; 5. ბეითალი; 6. ებონიტი; 7. ქარიყლაპია; 8. ალბანეთი; 9. დარი; 10. იასამანი; 11. მაჩვი; 12. რობერტსი; 13. აბრაგი; 14. გარიბალდი; 15. ნიკელი; 16. კეკე; 17. მარინა; 18. ყიყინი; 19. მაია; 20. ასათიანი; 21. მარმარილო; 22. სცენა; 23. ავლა; 24. ანოა; 25. მურომეცი; 26. დეიმონი; 27. ირმა; 28. ყულაბა; 29. ამეთვისტო; 30. სიცილი; 31. ნოშრევანი; 32. მარიხუანა; 33. სიტროენი; 34. ბენ; 35. კიმ; 36. ყუა; 37. სანტიმეტრი; 38. ებრო; 39. კამა; 40. თინა; 41. კრუპიე; 42. შერი; 43. ალპინისტი; 44. კოლიე; 45. ლა; 46. ნიუფაუნდლენდი; 47. ივ; 48. ოხრა; 49. ფრე; 50. დასი; 51. სალმა; 52. ნაცარი; 53. რაიხსტაგი; 54. ვინ; 55. ნიუ; 56. დარდანელი; 57. მაკლეინი; 58. იისფერი; 59. არაუ; 60. ავე; 61. ასაკი; 62. ნუმერაცია; 63. მარადონა; 64. რეგლამენტი; 65. სენა; 66. კიტელი; 67. იდენტიფიკაცია; 68. იან; 69. ვანგა; 70. მიჩიგანი; 71. ენგური; 72. ბრიუს; 73. ბინოკლი; 74. მონე; 75. ხოხობი; 76. ტაიმი; 77. ლემონი; 78. ლედი; 79. ნეორეალიზმი; 80. რაჯა; 81. ნაგი; 82. „ივერია“; 83. სელენა; 84. ვანია; 85. რიაზანოვი; 86. იან; 87. ტრიკო; 88. სეკვოია; 89. კეგლი; 90. ბაკარა; 91. საბა; 92. ნიშადურის; 93. დონ; 94. ოაზისი; 95. ლოიდ; 96. დარიჩინი; 97. არიზონა; 98. გროზნო; 99. ვასო; 100. ევრიკა; 101. არკადი; 102. აფიშა; 103. გრაფი; 104. ჩილე; 105. ჩარი; 106. არა; 107. პარიიო; 108. ეკალი; 109. კოვზი; 110. ზურაბ; 111. მაზინა; 112. ნიორი; 113. ამური; 114. სადაც; 115. ბაზილიკა; 116. ციცერონი; 117. სოლო; 118. სპასკი; 119. ნილოსი; 120. ნუნუა; 121. ვუ; 122. მამაი; 123. არ; 124. ლევ; 125. აკირა; 126. სამნი; 127. რულეტი; 128. პიტი; 129. სალამური; 130. ოპუნცია; 131. როტერდამი; 132. ტო; 133. კიი; 134. ტრიტონი; 135. ფიალა; 136. ივა; 137. მორავია; 138. ამა. იკითხება: ჯეკი ჩანი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. დაბა თეთრიწყაროს რაიონში
2. სოფელი დუშეთის რაიონში
3. სინთეზური ვანილი
4. ... მოგივა დავითაო
5. ილია მურომეცი, დობრინია ნიკიტიჩი და ... პოპოვიჩი
6. მსახიობი გრეტა ...
7. ბილიარდის ჯოხი
8. რომის იმპერატორი
9. თბილისის უბანი
10. ნამცხვარი
11. „მატრიცა“ რივზი
12. ლიტვის დედაქალაქი
13. ძვ. რომაელი ორატორი
14. რას უჩნდება კარიესი
15. მწყემსის მოსასხამი
16. მისი დედაქალაქია თეირანი
17. ღვიძლის ძეხვი
18. ზღვის ძუძუმწოვარი
19. მსახიობი ... მიფუნე
20. ღობე
21. ქალაქი საქართ. სამხრეთში
22. ავქსენტი ცაგარელის პიესა
23. ვულკანური მასა
24. მსახიობი ... იოვოვიჩი
25. ქათმების დასაჯდომი ძელი
26. პურის სოკო
27. სუნამოს ჭურჭელი
28. ბრტყელი მრგვალი პური
29. „ბეჭდების მბრძანებ.“ ჰობიტი
30. მომღერალი ... ქერი
31. „სწავლის ... მწარე არის“
32. ქალაქი ნიდერლანდში
33. სრუტეები: ბოსფორი და ...
34. იაზონის გემი
35. თევზის კვერცხები
36. თეატრალური ხელოვნ. ჟანრი
37. მსახ. ... უიზერსპუნი
38. შერლოკ ჰოლმსის როლში ვასილი ...
39. დღის დასაწყისი
40. ავტომატის რუსი კონსტრუქტორი
41. რადიოლოკატორი
42. ღვინის ღმერთი
43. რუსი მსახიობი არამისის როლში
44. დიზაინერი კრისტიან ...
45. კანფეტების ნაკრები
46. ჰომეროსის პოემა
47. ახალი ზელანდიის მკვიდრი
48. მსახიობი მერილინ ...
49. დაჭიმული თოკი
50. წყლის ტრანსპორტი
51. პირადი ლაქია
52. მსახიობი მარჩელო ...
53. მწნილი
54. მწერალი ... დე ბალზაკი
55. ეგვ. პირამიდები
56. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში
57. იტალიელი კომპოზიტორი
58. მსახიობი ... კახიანი
59. დოსტოევსკი. „ძმები ...“
60. ფალიაშვილის ოპერა
61. ბრინჯაო
62. სომხური გვარის ნაწილაკი
63. ნაბოკოვის რომანი
64. ბაბილონის მეფე
65. დიეგო არმანდო ...
66. შენი ... და ჩემი კისერი
67. შტატი აშშ-ში
68. ცხვრების ერთობლიობა
69. კომიკური მიბაძვა
70. ფლოტის მეთაური
71. ავადმყოფობის ნიშნები
72. კუდმაკრატელა ფრინველი
73. დიდი ჩაქუჩი
74. თავის ჩონჩხი
75. სასწავლო დაწესებულება
76. ინერტული აირი
77. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
78. „დათა თუთაშხია“ თაყაიშვილი
79. რიცხვი 3,14
80. იტალიური მაკარონი
81. აფროდიტეს სატრფო
82. უკრაინის პარლამენტი
83. ქალაქი უკრაინაში
84. მსახიობი ... ფაროუ
85. საეკლესიო კრება
86. მოუხარშავი
87. „მთვარის მოტაცება“ თარამ ...
88. მალაიზიის დედაქალაქი
89. საყანედ გაჩეხილი ტყე
90. საბჭოთა ავტომობილი
91. უძველესი კოლხეთი
92. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
93. მომღერალი ... მჟავია
94. მსახიობი ... ვენტურა
95. მსახ ... ბერიკაშვილი
96. კურტ კობეინის ანსამბლი
97. ... გაფრინდაშვილი
98. თეატრის ფიცარნაგი
99. ... გათეთრების ყორანი
100. მარცვლოვანი მცენარე
101. „ბერნარდა ალბას ...“
102. ძაღლის ჯიში
103. დროის საზომი მექანიზმი
104. მოკრივე კასიუს ...
105. მკერდის კორექციის მასალა
106. ნავთობმზიდი გემი
107. ძაღლის ჯიში
108. ხორცის კერძი
109. მსახიობი ... რივზი
110. შიიზმის მიმდევარი
111. სოფელი სიღნაღის რაიონში
112. რეჟისორი ჯონ ...
113. ფანდი, ოინი
114. პოეტი ... ახმადულინა
115. პერგამენტი
116. მწერალი ჯანი ...
117. პოეტი ... ახმატოვა
118. ბაკი ფეხბურთ. მეკარე
119. ფრან-გული მონეტა
120. ლითონის საგანი ცხენის ფლოქვზე
121. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
122. ესპანეთის დედაქალაქი
123. ჯოხი ბოლოში ტყავის ლენტით
124. ნაბიჯი ბალეტში
125. შიშვლად განაობის მოყვარული
126. ორგანო. შედგება ორი ნახევარსფეროსგან
127. კარგად მოარული ცხენი
128. მომღერალი ... ჯოხაძე
129. კედლის მანდალი
130. გადამდნარი კარაქი
131. ფრანგული ნამცხვარი
132. იტალიის დედაქალაქი
133. ჭირვეული ახირება
134. მსახიობი ... მონტანი
135. თანხმობის ფორმა
136. თოვლის კაცი
137. დღე ხვალის შემდეგ
138. მსახიობი ... ბესინჯერი
139. წყალქვეშა კლდე
140. რუსი მხატვარი
141. ავსული არაბულ ზღაპრებში
142. კომპოზიტორი ... ყანჩელი
143. შინაური ცხოველი
144. მსახ. აიშვარია ...
145. ... ბურთი და ... მოედანი



პასუხები: 1. მანგლისი; 2. ბარისახო; 3. ვანილინი; 4. რაც; 5. ალიოშა; 6. გარბო; 7. კიი; 8. ნერონი; 9. ავჭალა; 10. ეკლერი; 11. ნეო; 12. ვილნიუსი; 13. ციცერონი; 14. კბილი; 15. ნაბადი; 16. ირანი; 17. ლივერი; 18. კაშალოტი; 19. ტოსირო; 20. მესერი; 21. ვალე; 22. „ხანუმა“; 23. ლავა; 24. მილა; 25. ქანდარა; 26. ობი; 27. ფლაკონი; 28. ლავაში; 29. ფროდო; 30. მერაია; 31. ძირი; 32. როტერდამი; 33. დარდანელი; 34. „არგო“; 35. ქვირითი; 36. ტრაგედია; 37. რიზ; 38. ლივანოვი; 39. დილა; 40. კალაშნიკოვი; 41. რადარი; 42. დიონისე; 43. სტარიგინი; 44. დიორი; 45. ასორტი; 46. „ილიადა“; 47. მაორი; 48. მონრო; 49. ლარი; 50. ნავი; 51. კამერდინერი; 52. მასტროიანი; 53. მარინადი; 54. ონორე; 55. გიზა; 56. რენდი; 57. როსინი; 58. იმედა; 59. კარამაზოვები; 60. „დაისი“; 61. რვალი; 62. ტერ; 63. „ლოლიტა“; 64. ნაბუქოდონოსორი; 65. მარადონა; 66. ხმალი; 67. ალაბამა; 68. ფარა; 69. პაროდია; 70. ადმირალი; 71. სინდრომი; 72. მერცხალი; 73. ურო; 74. ქალა; 75. ლიცეუმი; 76. ნეონი; 77. მარადია; 78. ასინეთა; 79. პი; 80. სპაგეტი; 81. ადონისი; 82. რადა; 83. დონეცკი; 84. მია; 85. სინოდი; 86. უმი; 87. ემხვარი; 88. კუალა-ლუმპური; 89. ახო; 90. „ზაპოროჟეცი“; 91. აია; 92. პიანო; 93. ანანო; 94. ლინო; 95. გივი; 96. „ნირვანა“; 97. ნონა; 98. სცენა; 99. არ; 100. სიმინდი; 101. სახლი; 102. სეტერი; 103. საათი; 104. კლეი; 105. სილიკონი; 106. ტანკერი; 107. სენბერნარი; 108. ტოლმა; 109. კიანუ; 110. შიიტი; 111. ტიბაანი; 112. ვუ; 113. ხრიკი; 114. ბელა; 115. ეტრატი; 116. როდარი; 117. ანა; 118. ირიბარი; 119. ეკიუ; 120. ნალი; 121. ვერდი; 122. მადრიდი; 123. მათრახი; 124. პა; 125. ნუდისტი; 126. ტვინი; 127. იორღა; 128. ანრი; 129. ბრა; 130. ერბო; 131. კრუასანი; 132. რომი; 133. კაპრიზი; 134. ივ; 135. კი; 136. იეტი; 137. ზეგ; 138. კიმ; 139. რიფი; 140. რერიხი; 141. ჯინი; 142. გია; 143. ღორი; 144. რაი; 145. ჰა. იკითხება: გვირილა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მედიკოსები მუცელზე წოლას კატეგორიულად არ გვირჩევენ



ესპანელი ექიმი-სექსოპათოლოგები მიიჩნევენ, რომ მუცელზე წოლა ერთნაირად საშიშია როგორც მშვენიერი სქესისთვის, ისე მამაკაცებისთვის, რადგან ამ მავნე ჩვევას შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის არასახარბიელო შედეგები მოჰყვეს.

სპეციალისტების განმარტებით, მუცელზე წოლისას დიდი ზემოქმედება ადგება არა მხოლოდ შარდის ბუშტს, არამედ სასქესო ორგანოებსაც, რის გამოც ირღვევა სისხლის მიმოქცევა და პრობლემები სექსუალურ ცხოვრებაში გარანტირებულია.

გარდა ამისა, მუცელზე ძილი ასევე არ არის რეკომენდებული ადამიანებისთვის, რომლებსაც ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ – ასეთი პოზა მათ დამატებით უსიამოვნებებს მოუტანს.

თქვენ წარმოიდგინეთ, მუცელზე წოლა არც სახისთვისაა სახარბიელო, რადგან ხელს უწყობს კანის დაბეჟილობებს და ნაოჭებიც გაცილებით ადრე და ადვილად ჩნდება.

**myjane.ru**

## ალერგია გაწუხებთ? კიბოსი აღარ უნდა შეგეშინდეთ



ძალიან საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, რომელიც მსოფლიოს მეცნიერებმა, თავის მხრივ, კიბოს მკურნალობის მიმართულებით ახალი მეთოდის მიგნებად შეაფასეს.

როგორც ირკვევა, ექსპერიმენტების ფარგლებში კანადელმა სწავლულებმა 18 კლინიკის 3 ათასამდე პაციენტი გამოიკვლიეს, რომლებსაც კიბოს დიაგნოზი ჰქონდათ დასმული და ასევე, კვლევაში მონაწილეობდნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც საშიში დაავადება არ აწუხებდათ.

ჰოდა, დადგინდა, რომ კიბოთი დაავადებულ პაციენტებს შორის არ აღმოჩნდა არც ერთი პირი, რომლებსაც წარსულში ასთმა, ეგზემა ან ალერგიის სხვა გამოვლინება აღენიშნებოდათ.

მეცნიერების მტკიცებით, ამ უცნაური მოვლენის მიზეზი იმაში უნდა იმალებოდეს, რომ ალერგია, როგორც დაავადება, ორგანიზმის იმუნური სისტემის ჰიპერაქტიური რეაქციებითაა გამოწვეული. ამასთანავე, კიბოთი დაავადებულ უჯრედებზე იმუნური სისტემა ასევე მყისიერ რეაქციას ავლენს და პირველ რიგში, ორგანიზმიდან სიმსივნის მატარებელ უჯრედებს დევნის.

მართალია, მიგნება საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ, სპეციალისტების თქმით, მას ჯერ კიდევ ხანგრძლივი შესწავლა სჭირდება და სასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, სავარაუდოდ, კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების აღმოჩენაც მოხერხდება.

**inauka.ru**

## ტყუპები 40-დღიანი შუალედით დაიბადნენ



ტყუპების დაბადების უიშვიათესი ფაქტი დაფიქსირდა ინდოეთის შტატ ორისში, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთით ბენგალიის ყურის სიახლოვეს მდებარეობს.

თურმე, ქალაქ ორისის სამშობიაროში 25 წლის საჰი ბაბინმა ვაჟი გააჩინა, თუმცა, ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ მის მუცელში კიდევ ერთი ჩამოყალიბებული ემბრიონი იყო მოკალათებული, რომელიც გარეთ გამოხედვაზე არც კი ფიქრობდა. მაშინ მედიკოსებმა საკეისრო კვეთის ჩატარება გადაწყვიტეს, მაგრამ ისიც დაადგინეს, რომ ოპერაციას საჰი ბანანი ვერ გადაიტანდა.

ჰოდა, რაღა უნდა ექნათ, ყურებით ხომ არ გამოაძვრენდნენ ზარმაც ინდუსს, ადგნენ და ლოდინი დაიწყეს.

უნდა ითქვას, რომ ინდუსი ექიმები თითქმის 40 დღე ელოდნენ ბავშვს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ქვეყნიერებას სულ ცოტა ხნის წინათ მოევლინა. საბედნიეროდ, ჩვილი თავს შესანიშნავად გრძნობს და მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ექიმების განმარტებით, ემბრიონები საშვილოსნოს სხვადასხვა პლაცენტაში ვითარდებოდნენ, რაც ძალიან იშვიათი მოვლენაა, თუმცა, ასეთი შემთხვევა თითქმის ყოველთვის სავალალო შედეგების გარეშე სრულდება.

**medportal.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**29 აგვისტო:** დღეს საკმაო საშუალება გექნებათ საიმისოდ, რომ საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოთ. ამაზე კარგს დღეს ვერაფერს გააკეთებთ.

**კურო 22.04-21.05**
**29 აგვისტო:** შეიძლება მიიღოთ იმპულსი, რომელიც ორი-სამი კვირა გაგყვებათ. შეეცადეთ, ერთბაშად არ დახარჯოთ. თუ ზომიერად გადაანაწილებთ, ეს მუხტი ბევრ საქმეში წაგადგებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**29 აგვისტო:** დღეს კამათში ჩართვა და აზარტულ თამაშებზე მიძალება არ ღირს, თუკი გამარჯვების ერთადერთი პრეტენდენტი არ იქნებით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**29 აგვისტო:** საეჭვოა, დღეს ვინმესგან აღიარებას ელირსოთ, არადა მართლა შესაქები იქნებით. არავის დაელოდოთ, საკუთარ მიღწევებზე ტრაბახის გამო არავინ გაგკიცხავთ.

**ლომი 23.07-22.08**
**29 აგვისტო:** რა განწყობაზეც არ უნდა იყოთ, რა გრძნობებიც არ უნდა გიმძიმებდეთ დღეს გულს, ყველაფერი ილონეთ, რომ გარეგნულად მოწესრიგებული იყოთ. რატომ, ამას თავად ნახავთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**29 აგვისტო:** ამბიციები მოსვენებას დაგიკარგავთ, შემართულად ივლით წინ და ვერაფერი შეგაჩერებთ. მოსალოცად გაქვთ საქმე, მაგრამ ფრთხილად იყავით, ზედმეტებში არ გადახვიდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**29 აგვისტო:** ძალიან დაძაბული დღე გელით და შეიძლება ძალიანაც დაიღალოთ, თუმცა მოვლენები თქვენს ქმედებებზე არ იქნება დამოკიდებული.

**მორიელი 23.10-21.11**
**29 აგვისტო:** საკუთარ თავს პატიოსნად მოეპყარით, განსაკუთრებით, თქვენივე შესაძლებლობების შეფასებისას. ეს დაგეხმარებათ, გაერკვიოთ საკითხებში, რომლებიც ჯერაც ვერ მოგიგვარებიათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**29 აგვისტო:** ეს დღე დიდ სიამოვნებას, ალბათ, არ მოგიტანთ, რადგან მავანმა შეიძლება თქვენს მიმართ უპატივცემლობა გამოხატოს. თუ ასეთი პერსპექტივა არ გხიბლავთ, სახლში დარჩით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**29 აგვისტო:** დარწმუნდით, რომ დღევანდელ გეგმებსა და გრაფიკში თუნდაც ნახევარი საათი გაქვთ გამოყოფილი დასვენებისთვის. ყველაფერი ილონეთ, რომ არ გადაიღალოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**29 აგვისტო:** უცნობია, ვის, ან რის გამო, მაგრამ, როგორ ჩანს, დღეს ნერვებს საფუძვლიანად მოიშლით. შეეცადეთ, ემოციები დაიოკოთ, არც ისე იქნება საქმე, თქვენ რომ გგონიათ.

**თევზები 19.02-20.03**
**29 აგვისტო:** სასიამოვნო მოგონებები კარგი რამ არის, მაგრამ უფრო სასიამოვნო და მომგებიანიცაა, თუკი წინ გაიხედავთ.

## ამერიკელებმა ინსულტისგან გადარჩენის ანეკდოტური მეთოდი აღმოაჩინეს



იმისთვის, რათა თაგვს სიკვდილის უფლება არ მისცეთ, რომელსაც არტერიის ბლოკირების გამო ინსულტი ემუქრება, საკმარისია მას... ულვაში მოქაჩოთ. დაგვეთანხმებით, ეს აღმოჩენა უფრო საპირველაპრილო ხუმრობას წააგავს, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ პაპანაქება ივლისია და მეორე – მისი ავტორები სავსებით სერიოზული მეცნიერები არიან კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.

სპეციალისტების განმარტებით, ინსულტის გამომწვევი მიზეზი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის შეფერხებაა, რასაც ზოგიერთი მონაკვეთის გათიშვა მოსდევს. თაგვების შემთხვევაში ინსულტის თავიდან აცილება თავის ტვინის ქერქის სტიმულირებით მოხერხდა – მთავარი არტერიების ბლოკირებიდან მომდევნო 2 საათის მანძილზე მეცნიერები მათ ულვაშებს 4 წუთის განმავლობაში ქაჩავდნენ, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ სისხლი დაზიანებულ ადგილამდე სხვა ძარღვების გავლით აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტის ფარგლებში თაგვების ინსულტისგან სიკვდილით გადარჩენა ასიდან ასივე შემთხვევაში მოხერხდა.

როგორც ცნობილია, ინსულტი ადამიანისთვისაც კრიტიკული პირველ საათებშია. ნიშნავს თუ არა ეს ახალი აღმოჩენა, რომ ულვაშების მოქაჩვით ადამიანის გადარჩენაც იქნება შესაძლებელი? ამერიკელები ამ კითხვაზე შემდეგნაირად პასუხობენ: ადამიანების შემთხვევაში თავის ტვინს სხეულის სხვა ნაწილები უკავშირდება. ამდენად, შესაძლებელია, მაგალითად, თითების, ტუჩების ან სახის სტიმულირება პაციენტის სქესის მიუხედავად.

**medkarta.com**

## დამტკიცებულია: რომანტიკული ურთიერთობა... ნარკოტიკია



ამ უცნაური დასკვნის ავტორები კვლავაც ამერიკელები არიან, რომლებმაც დაადგინეს, რომ რომანტიკული ურთიერთობებისას ხდება თავის ტვინის იმ უჯრედების გააქტიურება, რომლებიც სხვა შემთხვევაში ნარკოდამოკიდებულების ფორმირებაში მონაწილეობს.

კვლევის ავტორების აზრით, ტვინის ასეთი აქტივაციის მიზეზი, სავარაუდოდ, საყვარელი ადამიანის დაბრუნების სურვილი უნდა იყოს, რასაც სარისკო ნაბიჯების გადადგმაც მოჰყვება. კიდევ ერთი მოსაზრებით, ტვინის ეს მექანიზმი მილიონობით წლის ევოლუციის შედეგია, რომელიც ადამიანს ცხოვრების კონკრეტულ მომენტში უაქტიურდება, რათა მემკვიდრეობის დასატოვებლად მომავალი პარტნიორი აარჩევინოს.

ასეთი დასკვნების გამოტანა ამერიკელმა მეცნიერებმა რამდენიმე ათეული ახალგაზრდის შესწავლის შემდეგ შეძლეს, რომლებიც შეყვარებულებთან ახლად დაცილებულები იყვნენ. სპეციალისტებმა მათი ტვინის სკანირება იმ დროს მოახდინეს, როცა ექსპერიმენტის მონაწილეები ყოფილი პარტნიორების ფოტოებს ათვალიერებდნენ.

აღმოჩნდა, რომ ამ პროცესში მათ თავის ტვინის ე.წ. ვენტრალური სფერო და ასევე, მისი გვერდითი ბირთვი აუმუშავდათ, რომელიც, ჩვეულებრივ, ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს უაქტიურდებათ.

**factroom.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გურულს სტუმარი ეწვია. ათვალიერებს მასპინძლის კარ-მიდამოს და უცბად ღორი დაინახა, რომელიც წინა ფეხებზე დადის, უკანა ფეხები კი საერთოდ არ აქვს.

– ამ ღორს უკანა ფეხები რატომ არ აქვს? – შეშფოთებულმა ჰკითხა მასპინძელს.

– რას ამბობ, ძამა, აბა, მუჟუჟის გულობიზა მთლიან ღორს ხომ არ დავკლავდი?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
211359457
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.20